# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.


დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 14 იანვარი, 2010 წელი.

№ 7 (6373)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.


## პრაქტიკასაც თქვენ გვასწავლით, შორენა მასწავლებელო?




4

აჯობებს, შენც და შენი გადაცემის შემკვეთებმაც უფრო მეტად ის გვასწავლოთ, უფულო-უხელფასოდ როგორ ვიარსებოთ, თორემ „იმ საქმეს“ შენი მასტერკლასის გარეშეც ახერხებდნენ ჯერ კიდევ ადამი და ევა!

## ჩემი გმირი გიწოდე?! ②



ანუ როდიდან გაუფასურდა საქართველოში გმირობისა და ეროვნული გმირის ცნებები!



## სააკაშვილისა და მედვედევის შეხვედრა რატომ უნდა მოხდეს უკალსტუხებოდ? ⑧

## ვის იმედზე უნდა იყოს მეანაბრე? ⑥



## ბაღდადში თბილისს ფარულად ეჩურჩულებაო ③



## მე-4 რეიხი ანტარქტიდის ყინულებშია ⑨

ნაცისტებს შეეძლოთ საიდუმლო ქალაქში დამალულიყვნენ



## ინალ კაზანი:

## აფხაზეთის დამოუკიდებლობა იდეა კი არა, რეალობაა და იგი არ შეიცვლება... ④

№ 7. ხუთშაბათი, 14 იანვარი, 2010 წელი.

◎ არჩევნები

# ვინ არიან ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატები?

## ამ ფარსში არასამთავრობოები გოჭებივით გასვარეს

**არჩევანი ცუდსა და უარესს შორის — ასე დადგა საკითხი ცენტრალური საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის არჩევასთან დაკავშირებით. საზოგადოება გაკვირვებული დარჩა, როცა ქვეყნის უმაღლესმა პირმა სამი ასეთი კანდიდატი წარმოადგინა: ლევან თარხნიშვილი და კიდევ „ორი თარხნიშვილი“, ანუ ოთარ სიჭინავა და ზურაბ ხარატიშვილი.**

სანამ ამ ადამიანების ბიოგრაფიას შევეხებოდეთ, რომელთა შესახებაც გუშინ დეპუტატმა **გია ცაგარეიშვილმა** საგანგებო ბრიფინგი გამართა, უნდა ითქვას მთავარი.

საარჩევნო კანონმდებლობის მიხედვით, საარჩევნო კომისიის ადმინისტრაციის დაკომპლექტება ასე ხდება: სამ წევრს ირჩევს ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ორ წევრს სააკაშვილი, როგორც პრეზიდენტი, ერთს კი ირჩევს როგორც ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარე. რჩება მეშვიდე, მთავარი წევრი — ცესკოს თავმჯდომარე, რომელიც თითქოს ხელისუფლების „აქილევსის ქუსლი“ უნდა ყოფილიყო, მაგრამ ამ თანამდებობის დასაკავებლად სამ კანდიდატს პრეზიდენტი წარუდგენს საარჩევნო ადმინისტრაციის ოპოზიციურ წევრებს ამოსარჩევად, არასამთავრობო ორგანიზაციებთან კონსულტაციების შემდეგ.

რატომ ეგონა ვინმეს, რომ სააკაშვილი მესამე სექტორის გამოვნებას ენდობოდა და თვითონ თითს არ გაანძრევდა არჩევნების მოსაგებად, საკვირველია?!

ქვეყნის პრეზიდენტმა არათუ არჩევანის პრეროგატივა დაიტოვა, მეტიც, მან საერთოდ უგულებელყო კანონი, კანონმდებლები, საზოგადოება და გააკეთა ის, რაც „მოეპრიანა“. 8 იანვრის ნაცვლად, კანდიდატები ოთხი დღის დაგვიანებით დაასახელა, პარლამენტმა ამის გამო არათუ იმპიჩმენტი მოუწყო, პირიქით, მისი საქციელი გაამართლა.

ვინ არიან პრეზიდენტის მხარდაჭერილი კანდიდატები? — ამის შესახებ კომენტარი გააკეთა დეპუტატმა გია ცაგარეიშვილმა, რომელიც სააკაშვილის საქციელით აღშფოთებულია. **„როგორ შეიძლება ადამიანმა მოიფიქროს ასეთი კომბინაცია და თანაც სისრულეში მოიყვანოს, ეს საოცრებაა. ლევან თარხნიშვილზე ლაპარაკი, უკვე შეურაცხმყოფელია. რა თქმა უნდა, ვვარაუდობდი, რომ ერთ-ერთი ის იქნებოდა, რადგან ამ ჟესტით სააკაშვილმა აღიარა წინა არჩევნების არალეგიტიმურობა. მას თარხნიშვილი ამ დამსახურების გამო უნდა დაესახელებინა. ლევან თარხნიშვილი ეს არის ყალბისმქნელი, კრიმინალი, დამნაშავე, რომელმაც ლამის ძმათამკვლელობამდე მიიყვანა ქვეყანა. ახლა თურმე უკრაინაშია და იქ უნდა დააკვირდეს არჩევნების პროცესს... ვინ არის ოთარ სიჭინავა? — ის 2006 წელს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრად დაინიშნა 10 წლის ვადით. როგორ ფიქრობთ, კუბლაშვილი მიუმხრობელ ადამიანს დანიშნავდა? მას მიაწერენ ყველაზე მნიშვნელოვანი და სკანდალური საქმეების შესწავლას. მათ შორის ისეთის, როგორიც არის „ნინო ბურჯანაძე სახელმწიფოს წინააღმდეგ“. მნიშვნელოვანია, რომ ეს ადამიანი პაკინის ქუჩაზე ცხოვრობს, გიული ალასანიას მეზობლად. სწორედ ამიტომ შეარჩია ის სააკაშვილმა, როგორც სანდო ადამიანი. და ვინ არის ზურაბ ხარატიშვილი? — ეს არის საზოგადოებრივი მაუწყებლის საბჭოს წევრი დღიდან შექმნისა. ის შერჩეული იყო ნაციონალური მოძრაობის კვოტით და ბუნებრივია, დღემდე ნაციონალების ინტერესების ლობისტია. საინტერესოა, რომელმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა შეარჩიეს ეს კანდიდატები?! როგორც ითქვა, ისინი უნდა შერჩეულიყვნენ, როგორც ცნობილი და არჩევნების ჩატარების პროცესში გამოცდილი ადამიანები. მაინტერესებს, სიჭინავას და ხარატიშვილს ვინ იცნობს, ან რა გამოცდილება აქვთ?“**



დეპუტატი აცხადებს, რომ არასამთავრობო სექტორს ამ ფარსში ჭუჭყიანი გოჭებივით მოექცნენ და სულ ტყუილად გასვარეს.

კანდიდატებით უკმაყოფილოა ოპოზიცია. როგორც ითქვა, კონსერვატორები, რესპუბლიკელები და ლეიბორისტები კანდიდატებს მხარს არ დაუჭერენ. თუკი ასე მოხდება, პროცესი პარლამენტში გადაინაცვლებს და 21 იანვრამდე ცესკოს ახალი თავმჯდომარე მაინც ეყოლება. რატომღაც თარხნიშვილს გამორიცხავს ცაგარეიშვილი, მაგრამ რჩება ორი „თარხნიშვილი“, ან სიჭინავა, ან ხარატიშვილი, რომლებიც საარჩევნო ადმინისტრაციაში დისკომფორტს ნამდვილად არ იგრძნობენ.

**„15 იანვარს სამიდან ერთს ტაშის გრიალით აირჩევს პარლამენტი, რაც იმას ნიშნავს, რომ ისევ უბედურების გზაზე დადგება ქვეყანა. აქამდე დაშლილი საქართველო ახლა სამოქალაქო დაპირისპირების ზღვარზეც აღმოჩნდება“, — ასეთ სკეპტიკურ და ავისმომასწავებელ პროგნოზებს აკეთებს ცაგარეიშვილი, რომელსაც ძნელია, არ დაეთანხმო...**

**თეა მოსია**

◎ პოლიტწკიპურტი

# ჩემი გმირი გიწოდე?!

## ანუ როდიდან გაუფასურდა საქართველოში გმირობისა და ეროვნული გმირის ცნებები!

**როდიდან და, ჩემი აზრით, თუნდაც მას მერე, რაც, მექოთნისა და ქოთნის ყურისა არ იყოს, გმირის იარლიყი, საკუთარი სურვილ-შეხედულებისამებრ, თითქმის ანტიგმირს მივაწებეთ, ანუ გმირი მას ვუწოდეთ, თანაც უმაღლესი ტრიბუნიდან და სახალხოდ, ვინც, მოულოდნელად ბოძებული უზარმაზარი თანამდებობა-ძალაუფლებით გაყოყოჩებულმა, ის გააკეთა, რისთვისაც „უბრალო მოკვდავს“, სულ მცირე, ბოროტი ხულიგნობის მუხლით გაასამართლებდნენ!**







გეხსომებათ, ალბათ, დავით კირკიტაძემ, მაშინდელმა ერთ-ერთმა გამორჩეულმა ნაცმოელმა, პარლამენტის შენობაში დაცვის პოლიციელს, რომელიც სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდა, ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა.

მერე მან ამისთვის ბოდიში მოიხადა (ან მოახდევინეს?ძ!

**და სწორედ ამის გამო უწოდა მას გმირი მიხეილ სააკაშვილმა პარლამენტის ტრიბუნიდან — ბოდიში მოიხადაო(?!)!**

არადა, სხვისთვის, ნებისმიერი „უბრალო მოკვდავისთვის“, ამგვარი ბოდიშის მოხდა, ალბათ, დიდი-დიდი დანაშაულის აღიარება-მონანიების და, შესაბამისად, სასჯელის ერთგვარად შემსუბუქების საწინდარი თუ იქნებოდა (ამის მაგალითია თუნდაც ქართლოს ღარიბაშვილი, რომელიც პოლიციელებისთვის უმუშტიკრივო, მხოლოდ სიტყვიერი წინააღმდეგობის გამო ახლახან, ვგონებ, რამდენიმე დღით „კუტუზკაშიც“ გამოამწყვდიეს. ყოველ შემთხვევაში, მისთვის გმირის საწოდებლად ენაც რომ არავის დაუსველებია, ნაღდია. ანკი რატომ უნდა ეწოდებინათ?!ძ.

**არ იცის და ესწავლება ეს ვინმესგან იურისტ მიხეილ სააკაშვილს?**

**წესით, იცის და არც ესწავლება, მაგრამ...**

საქართველოს ეროვნულ გმირობას რაც შეეხება, **ეს წოდება ახლახან, მოგეხსენებათ, ამერიკელ სენატორ მაკკეინს ბათუმში საზეიმოდ მიანიჭეს.**

ღმერთმა კიდევ ერთხელ და სამარადჟამოდ აცხონოს მართლაც გმირი და სამშობლოსთვის შეწირული **ჟიული შარტავას** და **ზაზა დამენიას** სულები!

...ჩემი გმირი გიწოდე, ხელი გამოგიწოდეო, — მღეროდნენ გასული საუკუნის ორმოციან წლებში.

კარგი სიმღერა იყო, დროული და საჭირო.

**არა მგონია, გმირობისა და ეროვნული გმირის ცნებები ამ სიმღერის მხოლოდ შარშანწინდელი, პრეზიდენტის არჩევნების წინ შესრულების შემდეგ გაუფასურებულიყოს.**

**მე უფრო წინა, წერილის დასაწყისში „მიცემულ ჩვენებას ვაწვები“.**

**თქვენ რას იტყვით, მკითხველო?**

**რუსლან რუსია**

◎ აქცია

# ცეცხლწაკიდებული ბენზინი და აღშფოთებული ლეიბორისტები

**ლეიბორისტებს მართლაც არც წვიმა აშინებთ, არც ქარი და არც თოვლი... ამის მაგალითი წვიმიან ამინდში ვისოლის ერთ-ერთ ბენზინგასაწყობ სადგურში გამართული აქცია-ბრიფინგია. ლეიბორისტული პარტიის წარმომადგენელმა პაატა ჯიბლაძემ ქვეყანაში საგრძნობლად მომატებული საწვავის ფასი გააპროტესტა.** მისივე თქმით, დღეს ერთი ბარელი ნავთობი 70 დოლარი ღირს. ბენზინის ფასი კი 1,65 თეთრია. მსოფლიო ბაზარზე ნავთობის ფასები გუშინდელი ვაჭრობის შედეგად შემცირებულია. სააგენტო **„ფრანს პრესის“** ინფორმაციით, ლონდონის ბირჟაზე რენტ ჩრუდე მარკის ნავთობის ფასი ბარელზე 1.67 დოლარით გაიზარდა. ნიუ-იორკის ბირჟაზე კი 1 ბარელზე ფასი 1.73 დოლარით დაეცა. მარტივი არითმეტიკული გათვლებით კარგად ჩანს, რომ ნავთობის ფასი, წინა წელთან შედარებით, 51,3 პროცენტით არის შემცირებული, საქართველოში კი ბენზინის ფასი მხოლოდ 10,8 პროცენტით შემცირდა.



**პაატა ჯიბლაძე:** მსოფლიოში, 2008 წელთან შედარებით, ბენზინი 51 პროცენტით გაიაფდა და, ჩვენი ინფორმაციით, კიდევ უნდა გაიაფდეს. აქედან გამომდინარე, საქართველოში ბენზინის ღირებულება 95 თეთრს არ უნდა აღემატებოდეს. ლეიბორისტული პარტია ხელისუფლებას მოუწოდებს, რომ რეალურ ღირებულებაზე ჩამოიყვანოს ბენზინის ფასი და მოსახლეობას სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ჩატარების ნორმალური შესაძლებლობა მისცეს. გაიაფდეს როგორც ბენზინის, ისე დიზელის ფასი“.

ბოლოს კი ჯიბლაძემ დასძინა, რომ საწვავის რეალური ღირებულება უნდა იყოს 1,65 თეთრის 51,3 პროცენტი, ანუ — 95 თეთრი.

**ხატია მუსერიძე**



საქართველოს რესპუბლიკა

## თვალსაზრისი

*ცესკოს თავმჯდომარეობის სავარაუდო კანდიდატებზე, არჩევნების სამართლიანად ჩატარების ალბათობასა და საზოგადოებაში ამერიკისა და რუსეთისადმი განწყობილებების საკითხებზე „ინტერპრესნიუსი“ საზოგადოებრივი აზრის კვლევისა და მარკეტინგის ინსტიტუტის დირექტორს გოჩა ცქიტიშვილს ესაუბრა.*



# „საქართველოში ნებისმიერი საარჩევნო კომისიის პირობებში სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია“

**— ბატონო გოჩა, როგორ შეაფასებდით ცესკოს თავმჯდომარეობის სავარაუდო კანდიდატთა სიას?**

— შეფასება საკმაოდ ტევადი ცნებაა, შეფასება შესაძლებელია ბევრ კონტექსტში მოხდეს. თუ სამართლებრივი კუთხით ვიმსჯელებთ, ანუ მოქმედი კანონმდებლობით, არსებობს ათასი არგუმენტი, თუ როგორ შეიძლებოდა ყოფილიყო უკეთესი, მაგრამ ყველაზე ცინიკური და ალბათ სამართლიანი შეფასება იქნებოდა ის, რომ კანონი ამ შემთხვევაში არ დარღვეულა. თუმცა, მხოლოდ სამართლებრივ ასპექტში რაიმე მოვლენის, მათ შორის ცესკოს დაკომპლექტების საკითხის განხილვა არც დემოკრატიის და არც ცივილურობის ნიშანი არ არის. ასეთი რამ არც ერთი განვითარებული ქვეყნისთვის დამახასიათებელი არ არის. ამის უამრავი მაგალითი არსებობს და არა მხოლოდ პრეცედენტული ან ნახევრადპრეცედენტული ქვეყნებისთვის, კერძოდ — ბრიტანეთისა და აშშ-სთვის.

ყველა ქვეყანაში კანონს უყურებენ როგორც კონკრეტული პრობლემის გადაჭრის ინსტრუმენტს და არა — დოგმას, რომელიც გარკვეულ დოკუმენტებში აისახა და ახლა ბრმად უნდა მივენდოთ. ეს მოსაზრება არ ნიშნავს, რომ კანონი ოდესმე, რაიმე კუთხით უნდა იყოს უგულებელყოფილი, მაგრამ პირდაპირი გაგებით ეს იმას ნიშნავს, რომ განვითარებად ქვეყნებში, როგორც წესი, კანონი არ არის ეფექტიანი. საქართველოშიც ბევრი კანონი არ არის ეფექტიანი, რადგან არ იწვევს ყველაზე მთავარს, ადამიანების კმაყოფილებას.

**— რამდენად მაღალი ნდობით სარგებლობენ ცესკოს თავმჯდომარეობის კანდიდატთა სიაში მოხვედრილი ადამიანები?**

— მარკეტინგში არსებობს ასეთი ფრთიანი ფრაზა, რომელიც იცის ყველა მარკეტოლოგმა — თუ მომხმარებელი არ იცნობს პროდუქტს, მაშინ პროდუქტი მომხმარებლისათვის არ არსებობს. რომ ვისაუბროთ თემაზე, რამდენად აქვთ საზოგადოების ნდობა დასახელებულ ადამიანებს, იძულებული ვართ, ვიმსჯელოთ იმაზე, იცნობს თუ არა მათ ხალხი. თუ იცნობს, ნდობის ხარისხზე მსჯელობა შეიძლება, მაგრამ თუ საერთოდ არ იცნობს, ნდობაზე საუბარი საერთოდ ძნელია. ასეთ შემთხვევაში უნდა ვიფიქროთ, რომ ნდობით აღჭურვილნი არიან ის ადამიანები, რომლებმაც ესა თუ ის კანდიდატი ცესკოს თავმჯდომარეობაზე წარადგინეს.

მექმნება შთაბეჭდილება, რომ პროცესი, რომელიც ეხება ცესკოს ახალი წევრებისა და თავმჯდომარის არჩევას, არის მოხერხებული პოლიტიკური თამაში ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, ცალკე ოპოზიცურ პარტიებს შორის. ეს ის შემთხვევაა, როცა ყველა ცდილობს, იყოს მოხერხებული, მაგრამ არავინ ცდილობს, იყოს ეფექტიანი. ჩემი სუბიექტივიზმი გამოწვეულია იმით, რომ არა მაქვს რაიმე საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები, მაგრამ იმას, რასაც ახლა ვამბობ, არანაირი საზოგადოებრივი კვლევა არ სჭირდება. საზოგადოების 30-40 პროცენტი, როგორც წესი, სკეპტიკურად არის განწყობილი საარჩევნო კომისიების მუშაობისადმი, სამართლიანობისადმი. ამის მიზეზია არა მხოლოდ ის, რომ საარჩევნო კომისია ცუდად მუშაობს, არამედ ის, რომ ჩვენ ვუბრუნდებით პრეისტორიულ პერიოდს, როცა ღმერთების შერჩევა ხდება პრინციპით — ჩემი ღმერთი მოერევა თუ სხვისი?

თუ მე, პირობითად, ხელისუფლების ამომრჩეველი, ვხედავ, რომ არჩევნები ხელისუფლებამ მოიგო, გამოდის, რომ ზეციური არსება — საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე და წევრები მუშაობდნენ კარგად, სამართლიანად და ეფექტიანად.

ვიდრე ვიფიქრებთ, რომ „ჩვენიანებმა“ მოუგეს „სხვისიანებს“ და გავაგრძელებთ არქაული სტერეოტიპებით აპელირებას, მსჯელობა საკითხზე — ხალხი ვის ენდობა და ვის არა, სწორი არ იქნებოდა, რადგან ასეთ ნდობას ცივილური ნდობის საფუძველი არ შეიძლება ჰქონდეს. თუ მე, პირობითად, „კონსერვატიული პარტიის“ ამომრჩეველი ვარ, საარჩევნო კომისიამ რაც არ უნდა გააკეთოს, მე ქრონიკულად უკმაყოფილო უნდა ვიყო.

არჩევნებთან დაკავშირებით პოლიტიკური ამოცანა უნდა დამდგარიყო ასეთი — რა პირობებში და რა შემთხვევაში შეიძლებოდა გაზრდილიყო საარჩევნო კომისიისადმი ნდობა; არა ადამიანისადმი, რომლებიც იქ მუშაობენ, არამედ იმ ინსტიტუტისადმი, რომელსაც ცესკო ჰქვია. ეს შესაძლებელია მომხდარიყო მხოლოდ ოპოზიციური პარტიებისა და ხელისუფლების აბსოლუტური კონსენსუსის შემთხვევაში. ძალიან შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ოპოზიცია ისეთი, როგორიც დღეს არის, ოდესმე იყოს ხელისუფლების მოხერხებული პოლიტიკის თამაშის შედეგების მხარდამჭერი. რატომ? იმიტომ, რომ ის დღეს აგებს. იმ შემთხვევაში, თუ ოპოზიციას ექნებოდა გაცილებით მეტი იმედი და შანსი, ახლა მოეგო ადგილობრივი არჩევნები და შემდეგ — 2013 წელს საპრეზიდენტო არჩევნები, მაშინ ისინი ამ არგუმენტით სამართლიანად ჩათვლიდნენ იმ პროცესებს, რომელსაც ჩვენ ვხედავთ.

**— ბევრი ექსპერტი მიიჩნევს, რომ არჩევნების სცენარი, ძირითადად, ხელისუფლების სასარგებლოდ ვითარდება. არსებობს არჩევნების სამართლიანად ჩატარების ალბათობა და შანსი იმისა, რომ მაისისთვის დაგეგმილ არჩევნებზე ოპოზიციას ხელშესახები წარმატების იმედი ჰქონდეს?**

— სამართლიანობა, ტევადობის გარდა, ფილოსოფიური განმარტებაა და გააჩნია, ვისთვის რას შეიძლება ნიშნავდეს. ჩემი აზრით, დღევანდელ საქართველოში ნებისმიერი საარჩევნო კომისიის პირობებში სამართლიანი არჩევნების ჩატარება შეუძლებელია. სამართლიანობისადმი ჩემი შეხედულების გათვალისწინებით, ჩვენში სამართლიანი არჩევნების ჩატარება იმ შემთხვევაშიც შეუძლებელი იქნება, თუ იდეალური ცესკოს თავმჯდომარე და კომისიის სხვა წევრები გვეყოლება. თავის თავად გამართული ინსტიტუტი არ თამაშობს იმ როლს, რომელიც უნდა ჰქონდეს.

არჩევნების მენეჯმენტი არ არის მთავარი და ეს არის მთავარი შეცდომა, რომელსაც უშვებს ქართული პოლიტიკა და არა — ხელისუფლება. საარჩევნო კომისია არ არის გამოყენებითი სარგებლობის ჯგუფი და არავინ არ უნდა უყურებდეს სამომხმარებლო ღირებულებებით. ამ ინსტიტუტის ფუნქციაში მთავარი არ არის არჩევნების ჩატარება. მისი უმთავრესი ამოცანა ისეთი საარჩევნო გარემოს შექმნაა, სადაც ადამიანებს არ ექნებათ საკუთარი ხმის დაკარგვის შიში. ეს საკითხი ვერ გადაწყდება იმ დოკუმენტების ბაზაზე, რომელმაც ავად თუ კარგად უნდა მოაწესრიგოს საარჩევნო კომისიის საქმიანობა.

ვინც არ უნდა გახდეს ცესკოს თავმჯდომარე, როგორი პრინციპითაც არ უნდა მოხდეს კომისიის წევრების შერჩევა, დანიშვნა, ჩვენ ვერც ერთ შემთხვევაში ვერ მივიღებთ კომისიისადმი ნდობის მაღალ ხარისხს. ეს ნიშნავს, რომ საარჩევნო ყუთთან მდგომი ადამიანების ძალიან დიდი ნაწილი იქნება სრულიად დარწმუნებული იმაში, რომ მის მიერ ყუთში ბიულეტენის ჩაგდების შემდეგ, მის ხმას კიდევ სჭირდება დაცვა. ეს ნორმალური ნამდვილად არ არის. როცა თვითმფრინავის ბილეთს ვყიდულობთ, არ უნდა გვქონდეს განცდა, რომ უსაფრთხოდ ვერ დავეშვებით „ბ“ პუნქტში. ასეთ მგზავრობას ხარისხიან ტრანსპორტირებას ვერანაირად ვერ ვუწოდებთ.

თვითმფრინავში ბორტგამცილებლის გარეგნული პარამეტრები გაცილებით ნაკლებად მნიშვნელოვანია, ვიდრე — მგზავრის რწმენა, რომ „ბ“ პუნქტში უსაფრთხოდ დაეშვება. ბილეთის შეძენისას თუ უსაფრთხოების კომპონენტი არ არის ცნობიერებაში წამყვანი, მაშინ, ბუნებრივია, რომ ხარისხიან ტრანსპორტირებაზე საუბარი საერთოდ უნდა შეწყდეს.

შეიძლება, მივიღოთ არჩევნების კარგი, საშუალო ან ცუდი მენეჯმენტი, მაგრამ ვერ მივიღებთ მთავარს, საარჩევნო კომისია დღეს ხალხსა და ხელისუფლებას შორის მომრიგებლის როლს ვერ თამაშობს.

**— ექსპერტთა ნაწილი მიიჩნევს, რომ საქართველოში ანტიამერიკული განწყობები იზრდება , პრორუსული კი — ძლიერდება. რამდენად რეალურია ამგვარი შეფასებები? და თუ ასეა, თქვენი აზრით, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი?**

— სრულიად არამართებული დებულებაა. რუსული ორიენტაცია ისეთივეა, როგორიც იყო. პრორუსული ორიენტაცია ქართულ საზოგადოებაში არსებითად სექტანტურია და საზოგადოების ძალიან ვიწრო, კარგად იდენტიფიცირებად წრეს მოიცავს. საქართველოში რუსეთისადმი დამოკიდებულება არ უმჯობესდება და შეუძლებელია გახდეს უკეთესი, ვიდრე დღეს არის.

რაც შეეხება ამერიკისადმი კრიტიკული განწყობის ზრდას, ეს სრულიად მართებულია, რაც ძალიან მარტივად გასაგები უნდა იყოს. პოლიტიკური თამაშის მოხერხებული კომპონენტი იყო, თუ ვის მხარეს იქნება მსოფლიოში ყველაზე ძლიერი ზესახელმწიფო. საქართველოში ამერიკის მიმართ მოლოდინები დიდი იყო და ყოველთვის ვამბობდი — ყველაზე დიდი მტერი, რომელიც პოლიტიკას ან პოლიტიკოს შეიძლება ჰყავდეს, ეს არარეალიზებადი მოლოდინებია. ფრთხილად უნდა ვიყოთ, მით უმეტეს, როცა ვლაპარაკობთ მეგობარ ქვეყანაზე, რომელმაც აღარ იცის, როგორ დაგვეხმაროს და ამის გამო, რბილად რომ ვთქვათ, თავად არის ცუდ მდგომარეობაში.

როცა ასეთი ღირებულებებისადმი ჩვენ სამომხმარებლო ხრიკებს ვიყენებთ, უნდა ვიცოდეთ, რომ ეს შეიძლება ჩვენვე ძალიან ცუდად მოგვიბრუნდეს. ჟურნალისტურ ენაზე რომ ვთქვათ, საზოგადოებას ამერიკის იმედი ჰქონდა და ამ მოლოდინის დიდი ნაწილი არ გამართლდა. არანაირი ამერიკული თვითმფრინავები, საჰაერო ხომალდები არ დაშვებულან ქართულ აეროპორტებში, ამერიკული სატანკო დივიზიები არ შემოსულან არც ერთი მხრიდან. საერთოდ, ისეთი მოლოდინების გაჩენა, რომ თუ რამე, ჩვენ ამერიკული ჯარი დაგვეხმარება, ქართული პოლიტიკის მხრიდან არ არის მხოლოდ წინდაუხედავი ნაბიჯი. ასეთი მოლოდინების გაჩენა შესაძლოა დანაშაულიც იყოს. არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის არ არის რეალური, არამედ იმიტომაც, რომ ჩვენ ჩამოვუშვით ხელები და სხვის იმედზე ვიყავით. ჩვენმა ჩამოშვებულმა ხელებმა რა გვიქნა 2008 წლის აგვისტოში, ყველამ კარგად დავინახეთ.

**კობა ბენდელიანი**

## არჩევნების შემდეგ



*სოხუმის მარიონეტული რეჟიმის ყოფილი ე.წ. ვიცე-პრეზიდენტი რაულ ხაჯიმბა ნელ-ნელა სერგეი ბაღაფშის შეურიგებელ მოწინააღმდეგედ ყალიბდება. 2009 წლის 12 დეკემბრის ე.წ. საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ, როდესაც ბაღაფშმა დიდი უპირატესობით დაამარცხა კონკურენტები, ხაჯიმბამ ერთ-ერთ პრესკონფერენციაზე დაიფიცა, რომ ყველაფერს გააკეთებდა ე.წ. პრეზიდენტის პოლიტიკურ პენსიაზე გასაშვებად.*

*ერთ-ერთი მთავარი ბრალდება, რომელსაც ხაჯიმბა ბაღაფშს უყენებს, აფხაზების ინტერესების გაუთვალისწინებლობაა. როგორც „მედიანიუსს“ რაულ ხაჯიმბამ განუცხადა, ამას ბაღაფშისა და ოფიციალური თბილისის ფარული ჩურჩულიც ადასტურებს.*

# ბაღაფში თბილისს ფარულად ეჩურჩულებაო

— დარწმუნებული ვარ, რომ სერგეი ბაღაფში კვლავ აგრძელებს ფარულ ჩურჩულს საქართველოსთან. რა თემაზე არ ვიცი, მაგრამ თავად ფაქტია მიუღებელი. შესაძლებელია, სრულიად უწყინარ თემაზეც საუბრობდნენ, მაგრამ ჩემთვის აბსოლუტურად მიუღებელია საქართველოსთან საუბარიც კი. დიალოგი მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა დაიწყოს, როდესაც ოფიციალური თბილისი ბოლოს და ბოლოს გახდება ადეკვატური და ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას.

**— ეს რომ არასოდეს მოხდება, ალბათ, ხვდებით.**

— არასოდეს თქვათ არასოდეს. დარწმუნებული ვარ, ადრე თუ გვიან საქართველოს ხელისუფლებაში ნორმალური ადამიანები მოვლენ, რომლებიც არ გააგრძელებენ გამსახურდიას, შევარდნაძის და სააკაშვილის გზას და შეეშვებიან რაღაც მითიურ ტერიტორიულ მთლიანობაზე ოცნებას.

**— კამათს არ ვაპირებ. საინტერესოა, მაინც რაზე უნდა ეჩურჩულებოდეს ბაღაფში ოფიციალურ თბილისს?**

— არ ვიცი. შესაძლოა, გალის რაიონში შექმნილ მდგომარეობაზე ან საზღვაო ბლოკადის მოხსნაზე. თუმცა, პრინციპში, საზღვაო ბლოკადა უკვე მოხსნილია, რადგან ტვირთს რუსული გემები აცილებენ და მათ ქართული ვარცლები ახლოს ვერ მიუახლოვდებიან. ფარული მოლაპარაკებების მსგავსი პრეცედენტი უკვე იყო. 2008 წლის ზაფხულში სოხუმში ფარულად ჩამოდიოდა გაეროში საქართველოს ელჩი ირაკლი ალასანია. სააკაშვილი კი, რუსეთს აფხაზეთის შუაზე გაყოფას სთავაზობდა. რა თქმა უნდა, აფხაზი ხალხის ყველაზე დიდი მეგობარი ამაზე არ წავიდოდა. მაგრამ ის ფაქტი, რომ ამის შესახებ ბაღაფშმა იცოდა და დუმდა, შემაძრწუნებელია.

**— მაშინ ასე დავსვათ საკითხი: რატომ უნდა ეჩურჩულებოდეს ბაღაფში ოფიციალურ თბილისს მაშინ, როდესაც მან დამაჯერებლად მოიგო 12 დეკემბრის არჩევნები და პოზიციები კიდევ უფრო გაიმყარა როგორც აფხაზებთან, ისე რუსებთან.**

— ჯერ ერთი, ბაღაფშს არჩევნები არ მოუგია. მოხდა მასობრივი ფალსიფიკაცია. მეტსაც გეტყვით, ეს ფალსიფიკაცია მოხდა საქართველოს გამოცდილების ერთი-ერთზე გადმოტანით. მეორეც, ბაღაფშის პოზიციების გამყარებაზე საუბარი ნაადრევია. არსებობს უამრავი პრობლემა, რომელთა დაძლევის თვალსაზრისით ძვრაც არ არის.

**— აბა თქვენ გაიმარჯვეთ არჩევნებში?**

— ჩემი მონაცემებით, ასე იყო. თუმცა, მე შეგნებულად არ წავედი სიტუაციის დაძაბვაზე, რადგან ეს საქართველოს წისქვილზე მიუშვებდა წყალს, რომელიც ყველანაირად ცდილობს შიდა სიტუაციის არევას და ამისთვის აქტიურად იყენებს დეზინფორმაციის მანქანას — ქართულ მედიას. მე არჩევნების შემდეგ გამართულ პრესკონფერენციაზე განვაცხადე, რომ დაველოდები 5 წელი, მაგრამ ბაღაფშს მაინც შევცვლი. ჩემთვის მიუღებელია ისიც, რომ ოფიციალურ სოხუმს აღარ აქვს კატეგორიული პოზიცია ქართველი დევნილების დაბრუნებასთან დაკავშირებით. გალის რაიონს არ ვგულისხმობ, მაგრამ დანარჩენ აფხაზეთში ქართველი დევნილების დაბრუნება კატასტროფის ტოლფასი იქნება.

**— რას გულისხმობთ?**

—ეს იქნება უზარმაზარი მეხუთე კოლონის შემოშვების ტოლფასი და ეს ხალხი შიგნიდან ააფეთქებს აფხაზეთის სახელმწიფოებრიობას.

**— ის სახლ-კარი დევნილებისაა, მათი ძირძველი მიწაა.**

— არანაირად არ არის ესე. მე დროს არ დავკარგავ და აღარ მოვყვები ისტორიას, თუ როგორ ჩაასახლა ბერიამ ქართველები აფხაზეთში და როგორ შეცვალა დემოგრაფიული სურათი.

**— არც ის გამოგრჩეთ მაშინ, თუ როგორ მოუწყეს თქვენმა საყვარელმა რუსებმა მუჰაჯირობის სახით აფხაზებს გენოციდი და მხოლოდ ქართველებმა ამოიღეს ხმა ამ პროცესის წინააღმდეგ.**

— ამ თემაზე კამათს არ ვაპირებ. უბრალოდ, ერთ რაიმეს გეტყვით: ქართველები იკვებებით უაზრო ილუზიებით და აპელირებთ გამოგონილი ფაქტებით და ამ ტყუილს მერე თავადაც იჯერებთ.

**— თქვენ ზემოთ ახსენეთ, რომ ბაღაფშმა და მისმა გუნდმა ქართველ დევნილებთან დაკავშირებით პოზიციები შეარბილა. ეს არაოფიციალური ინფორმაციაა? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ოფიციალური განცხადება, რომელიც ამ პოზიციების შერბილებას დაადასტურებდა, ჩვენ არ მოგვისმენია.**

— მე ვთქვი, რომ აღარ არიან ისეთი კატეგორიულები, როგორებიც ადრე იყვნენ. არ არის გამორიცხული, რომ საერთაშორისო ორგანიზაციების გულის მოგების მიზნით, მათ დევნილთა გარკვეული ნაწილის დაბრუნებაზე ხელი მოაწერონ. ეს მიუღებელი და კატასტროფულია. რომელი საერთაშორისო ორგანიზაციის გული უნდა მოვიგოთ?! ნატოსი, რომელმაც წაახალისა სააკაშვილის სისხლიანი ავანტიურა, თუ ევროკავშირის, რომელიც კატეგორიულად არ ცნობს აფხაზეთის დამოუკიდებლობას?!

ინფორმაცია

## „სახალხო ბანკი“ პენსიონერებს ყვლეფს

**ჯონდი ბაღათურია საქართველოს მთავარ პროკურორს „სახალხო ბანკთან“ დაკავშირებით გამოძიების დაწყებას სთხოვს, კონტროლის პალატას კი საქმის შესწავლას. ეს მოთხოვნა ჯონდი ბაღათურიამ პარლამენტში საგანგებოდ გამართულ ბრიფინგზე დააყენა.**

**როგორც ბაღათურიამ განაცხადა, ბანკმა პენსიონერებს პენსიის 5-თვიანი სესხის მიღებისას წლიური 36 პროცენტი ჩამოაჭრა და პენსიონერებმა 450 ლარის ნაცვლად 350 ლარი მიიღეს, რაც, მისი შეფასებით, „წარმოუდგენლად მაღალი ციფრია.“**

**სწორედ ამიტომ, ბაღათურია სათანადო ორგანოებს ამ საქმის შესწავლას სთხოვს. იგი მიმართავს საქართველოს მთავარ პროკურორს, „შეისწვლოს ეს ფაქტი და რამდენად კანონიერად განახორციელა ბანკმა პენსიონერებისთვის ასეთი მაღალი საპროცენტო განაკვეთის დაწესება მაშინ, როდესაც პენსიონერებს სხვა ალტერნატივა არ გააჩნია, რადგან ბანკი სარგებლობს ამ მომსახურებაზე ექსკლუზიური უფლებით.“**

**ამასთან იგი კონტროლის პალატასაც სთხოვს, ამ საქმით დაინტერესდეს, ვინაიდან საკითხი ეხება ბიუჯეტის თანხებს.**

ჯი-ეიჩ-ენი




„განმანათლებლები“

# პრაქტიკასაც თქვენ გვასწავლით, შორენა მასწავლებელო?

## ახობებს, შენც და შენი გადაცემის შემკვეთებმაც უფრო მეტად ის გვასწავლოთ, უფულო-უხელფასოდ როგორ ვიარსებოთ, თორემ „იმ საქმეს“ შენი მასტერკლასის გარეშეც ახერხებდნენ ჯერ კიდევ ადამი და ევა!

***ზის აპლაკული შორენა, ბეგაშვილის ასული, ნაშუაღამევის „იმედის“ სტუდიაში და სექსოლოგიაში გვმოძღვრავს, ან რომელიმე ღამის ბარში მიკროფონით დასდევს ბიჭებს, ვთქვათ, იმის გასაგებად, ჰქონიათ თუ არა მათ ერთი ღამის სექსი, მოეწონათ თუ არა იგი და დილით პარტნიორი ქალის „შთაბეჭდილებითაც“ თუ დაინტერესებულან...***

მოკლედ, პირნათლად ასრულებს საახალწლოდ ნაანონსარ დანაპირებს – ინტიმურ ვითარებაში გვმოძღვრავს სექსოლოგიაში, მოგვითხრობს იმას, რასაც, ცოტათი რომ გადავაკეთოთ მისივე სიტყვები, თურმე არც ჩვენი მიუხვედრელი მშობლები გვიყვებიან და არც, არანაირი რეფორმა რომ არ უშველის, ისე უიმედოდ ჩამორჩენილ ჩვენს სკოლებში გვასწავლიან.

იმნაირი გულმოდგინებით აკეთებს ამას, გეგონებათ, ასეთი „სექსოლოგიური განათლების“ მიღებაზე მეტი პრობლემა თუ საწუხარი არ ჰქონდეს ჩვენი გაჭირვებული ქვეყნის მოსახლეობას.

აქვს და მეტი არა ამ ხელისუფლების გამოისობით?!

ჰოდა, სულო ცოდვილო, ზოგჯერ იმის სურვილიც გიჩნდება, როგორმე ხმა მიაწვდინო წამყვანს, – **შორენა, იქნებ ჰკითხო ხელისუფლებას, ხანდახან მაინც თუ ინტერესდება იგი ბედის უკუღმართობა-ირონიით, იმ „ერთის“ გამოკლებით, ლამის მთლიანად მის „პარტნიორად“ ქცეული ხალხის „შთაბეჭდილებებით“?**

და ამის გათვალისწინებით, ასეთი რჩევაც: სჯობს, უფრო მეტად ხალხისთვის იმის სწავლება „მიაწექით“, შორენ, შენც და შენი გადაცემის შემკვეთებიც, **უსახსროდ როგორ ვიარსებოთ, ამ, ხელისუფალთა მტკიცებით, „აყვავებულ“ და „დემოკრატიის მეორე ტალღის“ აჩქეფებულ საქართველოში, თორემ „იმ საქმეს“, როგორც ზემოთაც გითხარი, შენი მასტერკლასების გარეშეც ახერხებდნენ მუდამ.**

ამის დიდებულ მაგალითად, შორს რომ არ წავიდეთ, თავადაც გამოდგები: რაც მართალია, მართალია, ძალიან ლამაზი გოგო ხარ, გარეგნულად წუნი არაფერში დაგედება. **ჰოდა, ასეთი უნაკლო რომ „გამოგძერწა“, რაო, მამაშენს ვინმემ, რომელიმე იმდროინდელმა შორენამ, ტელევიზიით ასწავლა „ხელობა“?**

იქნებ ერთობ უწმაწურადაც გამომდის, მაგრამ უნებლიეთ, ერთი ანეკდოტის პერსონაჟი მეგრელი გამახსენდა, ჩასაძირად განწირული გემის კაპიტნის თხოვნას, – ვაითუ მართლა ჩავიძიროთ და, თუ ძმა ხარ, ჩემს ქალიშვილ ტანიას მიხედე, არ მინდა, ზვიგენებმა ქალწული დაგლიჯონო, – ასე უპასუხა: შენ გემს მიხედე, თორემ ტანიასთვის აქამდეც არაფერი დამიკლიაო.



**ასე რომ, ერთი ჩემი ძმაკაცისა არ იყოს, დელომ ზაიმიწეს, შენც და შენი გადაცემის შემკვეთებიც, თორემ... ძუკუმ თავისი საქმე უთქვენოდაც კარგად იცოდა და იცის...**

და ბოლოს, ერთი საკითხი, რომელიც ჩვენს რამდენიმე მკითხველს აინტერესებს და, რაკი „განმანათლებლობა“ გიკისრია, იქნებ დაგვიკვალიანო კიდეც ისინი.

**ჩემს ახალგაზრდობაშიო, – დაგვიკავშირდა ერთ-ერთი მათგანი, – უმაღლესში რომელიმე დისციპლინის თეორიული კურსი ერთ ლექტორს მიჰყავდა, პრაქტიკას კი სხვა მასწავლებელთან გავდიოდითო.**

**აქ როგორ იქნებაო, თავის „საგანში“ პრაქტიკულ კურსსაც შორენა მასწავლებელი ჩაგვიტარებს თუ სხვა ვინმეო?**

**რას უპასუხებთ, შორენა მასწავლებელო?**

რუსლან რუსია

ხედვა შორიდან

***2002 წელს წარმოშობით აფხაზი, ამერიკელი ბიზნესმენი, აფხაზური დიასპორის ლიდერი და ორგანიზაციის Abkhaz Alliance პრეზიდენტი ინალ კაზანი საქართველოს სტუმრობდა. მაშინ, როგორც ამბობენ, სხვა დრო იყო. „კავკასიური სახლის“ სტუმარს სხვადასხვა შეხვედრებზე არაერთხელ ვახლდი. იმ „სხვა დროს“ საქართველოსა და ინალ კაზანის რეალობაც სხვა იყო. ამერიკელი სტუმარი თავის ადვოკატთან ერთად საქართველოს მაშინდელ მთავრობას კონფლიქტის დარეგულირების თავისეულ გეგმას აქტიურად სთავაზობდა. მას მერე, რაც გასული საუკუნის 90-იანების დასაწყისში კაზანი არძინბას აქტიური თანამებრძოლი გახდა, მისი დამოკიდებულება საქართველოს მიმართ შეიცვალა და ომიდან 10 წლის თავზე, იმ ჯერზე „მტრული“ საქართველოს პოლიტიკურ „ისთებლიშმენთს“ მისეული ინიციატივების პაკეტით ესტუმრა. 2009-ში, აგვისტოს ომის შემდეგ კი ინალ კაზანმა თავისი დამოკიდებულება კვლავ შეცვალა. ამჟამად, როგორც თავად ამბობს, ეროვნულ, საერთაშორისო მედიასა და გაეროში აფხაზეთის ინტერესებს წარადგენს და სამშობლოსა თუ მის საზღვრებს გარეთ აქტიურად მუშაობს.***

# ინალ კაზანი: აფხაზეთის დამოუკიდებლობა იდეა კი არა, რეალობაა და იგი არ შეიცვლება...

**– 7 წლის წინათ თქვენ თბილისში მნიშვნელოვანი მისიით იყავით. მას მერე თქვენმა შეხედულებებმა რა ცვლილება განიცადა?**

– მას მერე ჩემი შეხედულებები საგრძნობლად შეიცვალა და, ნება მიბოძეთ, აგიხსნათ – რატომ. 2002 წელს საქართველოში ჩემი სამშვიდობო გეგმის ჩატანის შემდეგ, ჩემი პოლიტიკური შეხედულებები დაიხვეწა. 2002-ში მე ინტენსიურად ვმუშაობდი დიასპორის სამშვიდობო გეგმაზე (Diaspora Peace Plan – DPPძ, რომელიც მე პირადად წარვადგინე საქართველოში როგორც тет-а-тет შეხვედრებზე, ასევე საქართველოს უმაღლეს პოლიტიკურ დონეზე, დასასრულ კი საქართველოს მაშინდელ პრეზიდენტ შევარდნაძესაც შევხვდი. სამწუხაროდ, საქართველოს მთავრობა მშვიდობისკენ და კონფლიქტის დარეგულირებისკენ არ ისწრაფვოდა. საქართველოს ჭეშმარიტი მიზნები კი მხილებულ იქნა. აფხაზეთის პოზიციის გაგების უუნარობა DPP-ზე ოფიციალური პასუხის გაუცემლობაში გამომჟღავნდა. პრეზიდენტი შევარდნაძე შემპირდა, რომ პასუხს ჩემი თბილისიდან გამგზავრებიდან 30 დღეში მაცნობებდა. მაგრამ ეს ასე არ მოხდა. დარწმუნებული ვარ, რომ ამის შესახებ თქვენმა ახლანდელმა პრეზიდენტმაც იცის.

**– დღესდღეობით გაქვთ უშუალო კავშირი აფხაზეთში მცხოვრებ აფხაზებთან? იცით მათი განწყობები იმ ფონზე, როცა მთელი აფხაზეთი რუსული კა-გე-ბეს მეთვალყურეობის ქვეშაა? მათ თავიანთი აზრის თავისუფლად გამოხატვის საშუალება თუ აქვთ?**

– დიახ, მე მაქვს ძლიერი და ღრმა კავშირები თავად აფხაზებთან როგორც აფხაზეთში, ასევე მის საზღვრებს გარეთაც. მე მხარს ვუჭერ დემოკრატიას, მედიისა და გამოხატვის თავისუფლებას, ხალხის უფლებებს. მე ასევე ვიცი ამ ბრალდებების შესახებ, რადგანაც ეს თემა ახლა უკვე ზედაპირზე დევს. აფხაზეთიცა და საქართველოც საბჭოთა პოლიციური ქვეყნის სინდრომს განიცდიან. იმედი მაქვს, რომ ახალი რეფორმები მაშინვე დაიწყება, როცა კანონმდებლობით და აღმასრულებელ ორგანოებში ახალი ხელმძღვანელობისა და მმართველობის არჩევნები ჩატარდება. მაგრამ თუ აფხაზი ერის წინაშე დადგება არჩევანის საკითხი: ან იყოს პოლიციური, მაგრამ დამოუკიდებელი სახელმწიფო ან კვლავ გახდეს საქართველოს ნაწილი, აფხაზები პოლიციურ სახელმწიფოს, ქართული ხელისუფლებისგან თავისუფლებას აირჩევენ. აფხაზთა შორის საქართველოს ხელისუფლება სწორედ ასეთ აღშფოთებას იწვევს.

**– ამერიკელ აფხაზებსაც იგივე განწყობები აქვთ?**

– მათი რაოდენობა არც ისე დიდია. მათი აბსოლუტური უმრავლესობა აფხაზეთის დამოუკიდებლობას ემხრობა. მომხრეთა შორის ასევე არიან ჩრდილოეთ კავკასიელები როგორც სამშობლოში, ასევ მის საზღვრებს გარეთ. აფხაზეთის დამოუკიდებლობა იდეა კი არა, რეალობაა და იგი არ შეიცვლება. რაც უფრო მალე გაიგებს ამას საქართველო, მშვიდობა მით უფრო ადრე დამყარდება.

**– ხომ ვერ გაიხსენებდით იმ სამშვიდობო გეგმის პუნქტებს?**

– ახლა Diaspora Peace Plan რეალიზებად გეგმას აღარ წარმოადგენს, მით უმეტეს თქვენი პრეზიდენტისთვის, რადგანაც აფხაზეთი რუსეთმა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ უკვე სცნო. პოლიტიკური რეალობა კი ასეთია: აფხაზეთმა თავისი დამოუკიდებლობის მიღწევითა და რუსეთის მიერ აღიარებით წინ წაიწია. ასე რომ, საქართველოდან აფხაზეთის გამოყოფა შეუქცევადი პროცესია. ჩვენ, აფხაზეთში, სამშობლოსა და მის საზღვრებს გარეთ წინსვლას განვაგრძობთ. საქართველო წარსულით ცხოვრობს და დადგა დრო, როცა ქართული სახელმწიფო, მისი მთავრობა და ხალხი ახალ რეალობას უნდა შეეგუოს. ეს უკვე მომხდარი ფაქტია.

**– ანუ სამშვიდობო ინიციატივებს მცირედი წარმატებაც არ ჰქონდა...**

– აბსოლუტურად არანაირი.



**– სამშვიდობო პროექტები უბრალო შირმა იყო?**

– დიახ, რასაკვირველია. ის შემუშავებული იყო, როგორც გაეროს მხარდამჭერი მექანიზმი, რომელიც კონფლიქტის დარეგულირების ხელშესაწყობად იყო მიმართული. ამ სამკურნალო-გამაჯანსაღებელმა უაზრობამ დიდი ვერაფერი მოიტანა. ეს დისკუსიები, როგორც გაეროს მსგავს სასტუმრო ოთახებში გაჩაღებული გამაჯანსაღებელი ღონისძიებები, საქართველოს მთავრობის მატერიალური სტიმულირების გარდა არაფერს წარმოადგენდა. ფულს ყველას უხდიან, მაგრამ არც შედეგები ჩანს და არც – საქმის ვითარებაში გარკვევის უნარი. მრავალი წლის განმავლობაში ქართული და აფხაზური მხარე შეხვედრებს ჟენევაში კონფლიქტის გადაწყვეტისათვის ყოველგვარი სარგებლის გარეშე ატარებდა.

**– რას ფიქრობთ ახლა, როცა ჩვენთვის საქართველოს ტერიტორიული ერთიანობის იდეა უფრო შორსაა, ვიდრე ეს თუნდაც თქვენი თბილისში ვიზიტის დროს იყო?**

– ნებისმიერი მსჯელობა საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის შესახებ მოძველებულია. განსაკუთრებით მაშინ, როცა ეს აფხაზეთის საკითხს ეხება. ყველა ქართველს ამ ფაქტთან შეგუებას ვურჩევ. წელთაღრიცხვა გრძელდება. ვიმეორებ, საქართველოს ხელმძღვანელობისა და ქართველი ხალხისთვის დადგა დრო, რომ აღიაროს გარდუვალი ფაქტი იმისა, რომ აფხაზეთი არ არის და არასოდეს იქნება საქართველოს ნაწილი. ახლდაღიარებული აფხაზეთი საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის საკითხს არქაულს უწოდებს. საქართველოს ტერიტორია უკვე აღარ მოიცავს აფხაზეთს. დადგა დრო, რომ საქართველო კონცენტრირებული იყოს თავის შიდა პოლიტიკურ და ეკონომიკურ საკითხებზე და არ ჩაიციკლოს იმ საკითხზე, რომ აფხაზეთი საქართველოს ნაწილია.

**– ისტორიკოსებთან ერთად საერთაშორისო თანამეგობრობაც აფხაზეთს საქართველოს ნაწილად მოიაზრებს...**

– ბევრი ისტორიკოსი, როგორც აფხაზი, ასევე არააფხაზი თვლის, რომ ჩვენი ისტორია საქართველოს ისტორიისგან განსხვავებულია. ეს ისტორიკოსები მიიჩნევენ, რომ აფხაზეთის ისტორია მდიდარი და მრავალფეროვანია. იგი 1000 წელზე მეტი ხნის განმავლობაში საქართველოს სახელმწიფოსთან ან სამეფოსთან დაკავშირებული არ იყო. ფაქტია, რომ აფხაზეთი თავის მომავალს დამოუკიდებელი სახელმწიფოს რანგში შესცქერის მაშინ, როცა საქართველო წარსულსა და ისტორიის სახელმძღვანელოებში იქექება. თუ თქვენ მხედველობაში გაქვთ კანონიერი საფუძველი, მაშინ ბრიტანეთს კანონიერი საფუძველი აქვს იმისა, რომ პრეტენზიები ნიუ-იორკისა და ვირჯინის შტატებს წარუდგინოს; ეს საკითხი გადაწყვეტილ იქნა 1776-1783 წლებში. ფაქტია, რომ ბრიტანეთმა ომი წააგო და ამერიკელებმა დამოუკიდებლობა მოიპოვეს. სწორედ ამის ანალოგიურია 1992-93 წლების აფხაზეთ-საქართველოს განმათავისუფლებელი ომი. ჩვენ გავიმარჯვეთ და აფხაზეთმა დამოუკიდებლობა მოიპოვა.

იხ. 6 გვ.

◎ გლობუსი

# პასუხგაუცემელი რატომ



**გასული საუკუნის ბოლოს ერთ-ერთი სატელევიზიო გამოსვლის დროს აღვნიშნე, რომ 2010 წლისათვის საქართველოს თავის გადარჩენის პრობლემა ექნებოდა ანუ ის არ იქნებოდა რაც იყო, იქნებოდა ქვეყანა სხვა შინაარსით და, რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, შინაარსის შესაფერისი ფირნიშით — Georgia. იმ შორეულ წარსულში არავინ იცოდა დღევანდელი საგარეო საქმეთა მინისტრის ვაშაძის შესახებ, მით უმეტეს, საქართველოს სახელთან დაკავშირებული მისი ბრძნული მოსაზრების თაობაზე. მაშინ ვერავინ იფიქრებდა, რომ ქართველ მინისტრს ესოდენ „მედგრად“ მოუწევდა შებმა გადამთიელ კოლეგასთან — „გრუზია“ კი არა, „ჯორჯიაო“. ის უდრტვინველად ცხოვრობდა მშობლიურ მოსკოვში და საქართველოს სახელი, არსებობასთან ერთად, ცალ ფეხზე ეკიდა.**

წინასწარმეტყველება სულაც არ იყო ლელა კაკულიას ბუნებრივი ნიჭის სადარი. ის მოქალაქეთა კავშირის ახალგაზრდული ფრთის ე. წ. ჟვანიას გუნდის მსოფლმხედველობრივი მოსაზრებით იყო გამოწვეული. სწორედ მან დამანახა ის, რაც საქართველოს ელოდა და რაც არ თუ ვერ დაინახა უგემური აჯაფსანდალის — მოქალაქეთა კავშირის ხელმძღვანელობამ. არც ის არის გასაკვირი, რომ ვერ დაენახა. **იმჟამინდელი ხელისუფლება, მის ირგვლივ მყოფი ინტელიგენცია პირად ინტერესებში ყელამდე ჩაფლულნი, ჭარბი ჭამისგან გადაღლილ-დაოსებულნი, აინუნშიაც არ აგდებდნენ ჟვანიელთა საქციელს, მათ დამოკიდებულებას აწმყოსა და მომავალთან, საკუთარ ქვეყანასთან. ეს უკანასკნელი, როგორც მამათა, ისე შვილთა სურვილების ასრულების საშუალება იყო.**

გასული წელი ჟვანიელთა გეგმის შესრულების გადამწყვეტი წელი იყო. ყოფილმა მოქალაქეებმა, ამჟამინდელმა ნაციონალებმა და მათმა ბელადმა წარმატებით გაართვეს თავი საზოგადოების გაყოფას და მისი დამკვრელური ნაწილის — ახალგაზრდობის გადაბირებას, გაყოფილი მეორე ნაწილის ისე დაჩმორებას მისგან სერიოზული წინააღმდეგობა თავში, რომ არავის მოუვა. დაჩმორებულები ლუკმაპურისათვის წანწალში ატარებენ დროს. მას აღარც პატრიოტიზმი, აღარც აღმაშენებელი და აღარც ნიკოფსიიდან დარუბანდამდე გადაჭიმული ქვეყანა აინტერესებს. ის საკვების მაძებარ მტაცებელს ჰგავს, ყველა ხერხს, რომ მიმართავს სხვაგან სანადიროდ გადასახვეწად.

**სამშობლო არც პირველ, წარმატებულ ნაწილს აინტერესებს. მისთვის ის ლას ვეგასში, პარიზსა და არაბეთის საამიროებში დროსსატარებელი ფულის შოვნის საბადოა.**

დაჩმორებულთა რიგებში მყოფნი წარმატებულთა რიგებში მოხვედრაზეც ფიქრობენ, რისთვისაც არაფერს თაკილობენ, მათ შორის ფულის თხოვნასაც, რაც წარმატებულებსაც და მათ ბელადს უძლეველობის განცდას ანიჭებს. ხელისუფალთა თავდაჯერებულობას აათმაგებს ოპოზიციონერთა და „ინტელექტუალთა“ გადაწყვეტილება — მასთან მუდმივ დიალოგში ყოფნის თაობაზე. **ბელადმა ეს ისე გაიგო, როგორც უნდა გაეგო — სამათხოვროდ მისვლა. დაჩმორებულთა მიერ გადაქანებულად მოხსენებულმა ბელადმა კარგად იცის, რომ მასთან მისულთა პატრიოტიზმი ინდაურს არ სცილდება.**

**დაჩმორებულთა ხელშეწყობით გამოწვეული ხელისუფალთა თავდაჯერება ქვეყანას ცუდად აქვს დაცდილი. ამის არაერთ მაგალითს ჰქონდა ადგილი 2004 წლიდან დაწყებული. მარტო ცხინვალი და დიდების მემორიალის აფეთქება რად ღირს. ქუთაისის აფეთქება, მარტო აფეთქება არ იყო, ის სამომავლო „საგმირო“ საქმეების მომასწავებელი საცდელი ნაბიჯია, გაუვათ? მეტს გააკეთებენ. გაუვიდათ. არავითარი პროტესტი. მხოლოდ სამზარეულოში გამოთქმული უკმაყოფილება. თუმცა პროტესტი იყო. ქუთაისში ჩასულ იშვიათ აღშფოთებულებს ისეთი გახელებით დაესხნენ თავს ხელისუფალთა „მხარდამჭერი მანდილოსნები“, უკეთესს ვერ ინატრებდა ნაცთა ბელადი. მოქრთამულები იყვნენო, კეთილი, მაგრამ მოუქრთამელები სადღა იყვნენ? ან შემორჩნენ წუთისოფელს ასეთნი? იქნებ დინოზავრ-იხტიოზავრებივით გადაშენდნენ და მხოლოდ სუფრაზე გვევლინებიან წარსულის ლანდებივით, პატრიოტული სადღეგრძელოებით — ხელში განსხვავებული სასმისით?**

საზოგადოებას ხიბლავს ხელისუფალთა შემართება — ეს როგორ მოხდაო, ცუდად ააფეთქესო, ცუდი ამფეთქებლები დაისჯებიანო და ა. შ. არც ერთი სიტყვა რატომ? თუმცა ამაზე პასუხი ბელადმა გვაუწყა, უფრო დაწვრილებით იაკობაშვილმა, რომელმაც პუტინის განცხადებას — ძეგლის მოსკოვში აღმართვის თაობაზე მისთვის ჩვეული ძლიერი შეპასუხა — **დიდი სიამოვნებით გაუცვლიდა სტალინის ძეგლს აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში, ხურდაში ქუთაისის მემორიალსაც მიაყოლებდა. ამით ყველაფერი ითქვა, ითქვა ისიც, რომ რიგში სტალინის ძეგლია, რომ დიდების მემორიალი ხელისუფლებას ჩირადაც არ უღირდა, რომ მეორე მსოფლიო ომს „ახალი ქართველები“ სამამულოდ არ აღიქვამენ, რომ ისინი მხარს უჭერენ ფაშიზმის წინააღმდეგ მებრძოლთა საწინააღმდეგო გამოსვლებს უკრაინასა და ბალტიისპირეთში.**

**მინისტრის მიერ ნახსენები აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი სიტყვის მასალა იყო, თორემ იაკობაშვილის პატრიოტიზმი საკუთარ კუჭს არ სცილდება. ამ „პატრიოტიზმმა“ დააკარგვინა საქართველოს ის საქართველო.**

ხელისუფლება მიზანმიმართულია. მან საზოგადოებისგან განსხვავებით იცის, რა გააკეთოს, სულ ეს-ესაა რადიო „იმედის“ პირით გვაუწყა სააკაშვილის 60-პროცენტიანი რეიტინგის შესახებ. საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის უცხოურ ინსტიტუტებს ეკუთვნით ეს ცნობა, თანაც მემორიალის აფეთქების შემდეგ. საღად მოაზროვნე ქვეყანაში ასე არ უნდა იყოს. **შემოგვაპარეს ანუ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისათვის მზადება დაიწყო. იწყება მოსახლეობაზე ახალი შეტევა — სააკაშვილის შეუცვლელობის დევიზით. ხალხს მოსწონს სააკაშვილი. ის სხვას არ ენდობა. ამდენად მხოლოდ ის უნდა იყოს პრეზიდენტი და არა სხვა. მერე რა, რომ კონსტიტუციით არ შეიძლება. კონსტიტუციაზე მომუშავე კომისიის საქმე არ არის ქოთნისთვის ყურის მიბმა? საზოგადოება დუმს. მას ძალა არ ჰყოფნის გასაბრძოლებლად, არც სურვილი აქვს. თუ რამ ჰქონდა ისიც ოპოზიცია-არასამთავრობოებმა ჩაუქრეს მონოტონური დუდუნით. ერთადერთი რაც მან მოახერხა — საკუთარი უსუსურობის გამამართლებელი ვერსია მოიგონა — ვაშინგტონ რომ არა, ამათ ბოლოს მოვუღებდითო. ვაშინგტონი ხვალაც იქნება და ზეგაც. მისი როლი ხელისუფალთა მხარდაჭერაში მნიშვნელოვანია, თუმცა არა გადამწყვეტი. გადამწყვეტი ხალხია, მისი დამრაზმავი ოპოზიცია, რაც კარგად ჩანს სხვა ქვეყნების მაგალითებიდან.**

სამოქალაქო პასუხისმგებლობის თავიდან ამრიდე საზოგადოება საქვეყნო პრობლემებს ეკლესიას ჰკიდებს. მართლმადიდებლობა გვიხსნის, ეკლესია გადაგვარჩენს — ამ სიტყვებს ხშირად მოჰკრავთ ყურს, თუმცა, მთქმელიც და მომსმენიც მთლად ბოლომდე დარწმუნებული არ არის ამ სასწაულში. ერთ დიდ მრევლად ქცეული საზოგადოება, რომელიც ტრანსპორტშიც ეკლესიის გამოჩენისთანავე უმალ პირჯვარს ისახავს, არცთუ მედგრად შეხვდა ერის სულიერი წინამძღოლის მისამართით თავისუფლების ინსტიტუტის ძილიკს. საზოგადოებას სულ რაღაც ერთ კვირაში გადაუვიდა სიბრაზე, რაც უწმინდურთა უფრო მეტად დარაზმვის საბაბი გახდა.

**რაშიც საზოგადოება დარწმუნებულია, არის ის, რომ ჩვენისთანა დიდი ისტორია, კულტურა, სიმღერა, ცეკვა, ღვინო, ზეზვა და მზია არსადაა, რომ ქართველები უნიჭიერესი ხალხი ვართ და რომ არა მზაკვარი მეზობელი, მსოფლიოში პირველები ვიქნებოდით. ხალხს სიამოვნებს ავანსად ნათქვამი ქათინაურები თუნდაც არასაყვარელი პრეზიდენტისგან. ხალხი სიამოვნებისგან დნება კათოლიკოს-პატრიარქის სიტყვებზე — ქართველთა საპასუხისმგებლო მისიასთან დაკავშირებით. საზოგადოებას ვერ გაუთვითცნობიერებია — თუ ასეთი უნიკალურები, ნიჭიერები, ღმერთის წილხვედრი მიწის შვილები ვართ, რატომ ვართ ასე ცუდად? საზოგადოება იშვიათად სვამს კითხვას — რა მოიტანა ნანატრმა დამოუკიდებლობის 20 წელმა? რატომ ვართ იმ გაურკვევლობაში, რაშიც დამოუკიდებლობის პირველ წლებში ვიყავით? ან რატომ ვართ უფრო ცუდად ვიდრე ჩვენი მეზობლები არიან? რატომ ვართ აგრესიულები ქუჩაში, თავშეყრის ადგილებში, ტრანსპორტში, სახლში? რატომ ვლანძღავთ ოსს, აფხაზს, რუსს, სხვას? რატომ გვიჭირავს თვალი ისევ იარაღზე სამარცხვინო თავგადასავლის შემდეგ? რატომ ვაძლევთ უფლებას სააკაშვილს თავს მოგვახვიოს მილიტარისტული, რევანშისტული პოლიტიკა? რატომ ვაძლევთ ოკეანისგადაღმელებს ბატონობის უფლებას? რატომ ვაძლევთ თავხედობის საშუალებას ჩვენსავე არჩეულებს? რატომ ვიყიდებით არჩევნებზე 20 ლარად? რატომ ვაძლევთ პრეზიდენტს მესამედ მოსვლის უფლებას? რატომ ვამსხვრევთ საქალაქო ტრანსპორტის გაჩერების მინებს? რატომ ვჭრით ტრანსპორტის დასაჯდომებს? რატომ ვთხუპნით წარწერებით სახლების კედლებს? რატომ ვიფურთხებით და ვაგინებთ საკუთარ დედას? აქაც რუსია დამნაშავე? ვიდრე ამ და სხვა რატომს არ გაეცემა პასუხი, მუდამ ვიქნებით ისე, როგორც ვართ.**

**ჰამლეტ ჭიპაშვილი,**
პოლიტოლოგი.

◎ ინფორმაცია

## ქართველი „ბომჟები“ თუ დამკვირვებლები?

**ცესკოში პრეზიდენტობის ერთ-ერთი კანდიდატის ვიქტორ იანუკოვიჩის წარმომადგენელის ელენა ლუკაშის შეფასებით, „საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა, რომლებსაც უკრაინის საპრეზიდენტო არჩევნებზე დაკვირვება სურს, უმუშევარი, გაუნათლებელი და „ბომჟია“.**

**— თითქმის 2 ათასამდე განცხადება განვიხილეთ და მათგან მხოლოდ სამასამდე შეფასდა მეტ-ნაკლებად დადებითად. 119 ანკეტა საერთოდ დუბლირებულია, ნაწილმა კი პროფესიის აღმნიშვნელ დაფაში დეფისი დასვა, რაც იმას ადასტურებს, რომ მათი უმეტესობა გაუნათლებელი და უმუშევარია. რაც ყველაზე მნიშვნელოვანია, არც ერთ იმ პირს, რომელსაც არჩევნებზე დაკვირვება სურს, შესაბამისი გამოცდილება არ აქვს, — განაცხადა ლუკაშიმ.**

**შეგახსენებთ, რომ უკრაინის ცესკოს გადაწყვეტილება ადგილობრივმა არასამთავრობოებმა და იულია ტიმოშენკოს პარტიამ სააპელაციო სასამართლოში გაასაჩივრა.**



## ქართველ ჯარისკაცებს ავღანეთისთვის გერმანიაში ამერიკელები ამზადებენ

**გერმანიაში კიდევ 185 ქართველი სამხედრო გაემგზავრა.**

**31-ე ბატალიონის ბოლო ბრიგადამ თბილისი სამშაბათ ღამით დატოვა.**

**ჯარისკაცები გერმანიაში საქართველოს თავდაცვის მინისტრმა გააცილა.**

**სამხედროები წვრთნებს ამერიკულ სამხედრო ბაზაზე გაივლიან. მათი გადამზადება სამშვიდობო მისიებში მონაწილეობის მიზნით ხორციელდება.**

**სამხედრო წვრთნების წარმატებით გავლის შემთხვევაში ქართველი ჯარისკაცები ავღანეთის სამშვიდობო მისიაში ჩაერთვებიან.**

**გერმანიაში, ამერიკულ სამხედრო ბაზაზე სწავლებაში სულ 750 ქართველი სამხედრო მოსამსახურე მონაწილეობს.**

ჯი-ეიჩ-ენი

◎ კიდევ ერთი ღია წერილი

# ვაითუ ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდეს...

## საქართველოს პარლამენტის განათლებისა და მეცნიერების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეს თამაზ კვაჭანტირაძეს

ბატონო თამაზ,

მოგმართავთ დიდი პატივისცემითა და მოწიწებით, როგორც ქართული ენის ღირსეულ მეცნიერს. იქნებ ამ წერილზე გაგვიკეთოთ საპასუხო რეაგირება. ალბათ წაკითხული გექნებათ „ლიტერატურულ საქართველოში“ (28.09.07წ) გამოქვეყნებული ჩემი სტატია „ოღონდ ქართულად ვილაპარაკოთ“ და „საერთო გაზეთის“ მეშვეობით თქვენდამი ჩემს მიერ გამოგზავნილი ღია წერილი „გადაარჩინეთ ქართული ენა“ (28.04.09წ). დარწმუნებული გახლავართ, „საქართველოს რესპუბლიკაში“ გასულ წელს გამოქვეყნებულ სტატიასაც „ყველას სათქმელს ამბობს, ანზორ, მაგრამ „Ноль внимания“ გაეცნობოდით. მაშინაც გთხოვდით და ახლაც ვიმეორებ:

*„გამოიყენეთ თქვენი ავტორიტეტი, გამოცდილება და თანამდებობრივი მდგომარეობა და სასწრაფოდ შეკრიბეთ ქართული ენის გულანთებული ქომაგების მუშა ჯგუფი და მათი მონაწილეობით, რაც შეიძლება ოპერატიულად შეადგინეთ ქართული ენის გადარჩენის სახელმწიფო პროგრამა (თუ საჭიროდ ჩათვლით, მეც მიგულეთ თქვენს გვერდით). პრობლემის გადადება აღარ შეიძლება! წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი წინაპრების მრავალსაუკუნოვანი თავგანწირვა და დღევანდელამდე მოტანილი ჩვენი ენა ქართული ისტორიის კუთვნილება გახდება!“*

პრობლემის გადაწყვეტა დახანებას რომ არ ექვემდებარება, ამაზე ხაზგასმით ბრძანებს თავის საშობაო ეპისტოლეში უწმინდესი და უნეტარესი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე.

ულრმესი პატივისცემით

**ანზორ ბაბუხადია,**
გაზეთ „თანადგომის“ გამომცემელი

## საბანკო სექტორი

*ფული, კაპიტალი ეკონომიკის სისხლი და, შესაბამისად, მისი სიმძლავრის საწინდარი რომ არის, ეს აქსიომა საყოველთაოდაა ცნობილი. ამასთან, ქვეყნის ეკონომიკის სიმძლავრე ხელს კი უწყობს საზოგადოების სტაბილურ განვითარებას, მაგრამ ეს თავისთავად სულაც არ ნიშნავს მოსახლეობის ცხოვრების დონის ავტომატურად ამაღლებას. ამის გათვალისწინებით (და, ცხადია, არა მარტო ამის), სავსებით ბუნებრივია, რომ ნებისმიერი სამეწარმეო სტრუქტურა თუ ცალკე ოჯახი, იურიდიული თუ კერძო პირი კუთვნილი ფინანსური სახსრების ყაირათიანად, მაქსიმალური ეფექტიანობით ხარჯვის გარდა, უწინარესად, მათ უსაფრთხოებაზე ზრუნავს.*

*ამდენად, სავსებით გასაგებია, რომ ეს ფიქრი ჩვენს თანამოქალაქეებშიც არის — რამდენადაა დაცული ანაბრებზე შეტანილი მათი დანაზოგი, როგორია ამის მექანიზმი და ა.შ. ამ და სხვა შეკითხვებით რედაქციამ საქართველოს ეროვნული ბანკის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს მიმართა.*

# ვის იმედზე უნდა იყოს მეანაბრე?

**— მრავალი წამყვანი ექსპერტი აღნიშნავს, რომ ამჟამად მსოფლიოს ბევრი განვითარებული ქვეყანა თანდათანობით თავს აღწევს ფინანსურ-ეკონომიკურ კრიზისს — და ეს, უწინარესად, საინვესტიციო გააქტიურებით გამოიხატება. ამ ფონზე, როგორ აფასებენ ეროვნულ ბანკში საქართველოს საბანკო და, ზოგადად, საფინანსო სექტორებში სადღეისოდ შექმნილ მდგომარეობას? რაში გამოიხატა, კონკრეტულად, მსოფლიო ფინანსური კრიზისის ნეგატიური ზემოქმედება საქართველოს საბანკო სისტემაზე?**

— გლობალური ფინანსური კრიზისის ნეგატიური გავლენა, პირველ ყოვლისა, კაპიტალის შემოდინების შენელებაში და, შედეგად, ეკონომიკის ზრდის მკვეთრ შეფერხებაში აისახა. ასევე ანგარიშგასაწევი იყო საექსპორტო მოთხოვნის ვარდნაც, თუმცა მნიშვნელობით პირველი პრევალირებდა.

რაც შეეხება, კომერციული ბანკების მიერ საგარეო ვალდებულებების რეფინანსირების საკითხს, ეს პრობლემა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტების მხარდაჭერის შედეგად გადაიჭრა ისევე, როგორც სწორედ საერთაშორისო თანადგომამ გახადა შესაძლებელი ბიზნეს-ციკლის საწინააღმდეგო ფისკალური, მონეტარული და საზედამხედველო პოლიტიკის გატარება. სწორედ ამ ნაბიჯების შედეგია, რომ კრიზისის ნეგატიური ზეგავლენა, განსაკუთრებით რუსეთის აგრესიის ფონზე, საქართველოში, ზოგიერთ ქვეყანასთან შედარებით, მაინც უფრო ნაკლებია.

რაც შეეხება სადღეისოდ არსებულ ვითარებას, არაერთი ინდიკატორი მიუთითებს, რომ **კრიზისის ყველაზე ნეგატიური პერიოდი გავლილია.** ამასთან, ისევე, როგორც სხვა ქვეყნებში, კვლავაც გაურკვეველია, რამდენად სწრაფი იქნება რეცესიიდან გამოსვლის პროცესი.

**— საყოველთაოდაა ცნობილი, რომ, ფაქტობრივად, ყველა ქვეყანაში მრავალი კომერციული ბანკისა თუ საინვესტიციო ფონდის გაკოტრებამ ულუკმაპუროდ დატოვა მილიონობით ადამიანი. ამან, ბუნებრივია, მეანაბრეებს შიში საქართველოშიც გაუჩინა. როგორ აფასებენ ეროვნულ ბანკში — ქვეყნის საბანკო სფეროს უზენაეს მაკონტროლებელ ორგანოში — ჩვენი მეანაბრეების უსაფრთხოების დონეს და რა არის, კერძოდ, მათი დაცვის მექანიზმი?**



— დეპოზიტარების დაცვის მთავარი ბერკეტი ძალზე კონსერვატიული საზედამხედველო მოთხოვნებია. ესაა პირველ რიგში კაპიტალის ადეკვატურობა. ამ მხრივ შესაძლებელია არაერთი პუბლიკაციის გაცნობა. მათ შორის, საინტერესოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის გლობალური ფინანსური სტაბილურობის ბოლო ანგარიშის განხილვა, რომლის სტატისტიკურ დანართში მოცემულია სხვადასხვა ინდიკატორი ქვეყნის მიხედვით. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ იმ შოკების მიუხედავად, რაც ქვეყანამ გადაიტანა, საბანკო სექტორის შოკების შეწოვის უნარი კვლავ მაღალია.

**— საქართველოში ამჟამად მოქმედი კომერციული ბანკების შესაძლებლობათა გათვალისწინებით, თქვენი აზრით, კონკრეტულად რამდენი შეიძლება იყოს მეანაბრის წლიური, თუ შეიძლება ითქვას, „უსაფრთხო“ საპროცენტო განაკვეთი? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ ზოგიერთი ბანკი, რომელსაც უჭირს და ფული სასწრაფოდ სჭირდება, შესაძლოა სწორედ მაღალი წლიური საპროცენტო განაკვეთით აპირებდეს მეანაბრეთა მიზიდვას. და როგორც წინა კითხვის გაგრძელება: თუ ასეთი ბანკი გაკოტრდა, ვისი იმედი უნდა ჰქონდეს მეანაბრეს თავისი ფულის დაბრუნების მხრივ? როგორია ამ დროს ეროვნული ბანკის როლი? რა კონკრეტული ბერკეტები აქვს მას მდგომარეობის გასაკონტროლებლად და, რაც მთავარია, ოპერატიულად გამოსასწორებლად, ანუ მეანაბრეთა დასაზღვევად?**

— საქართველოში საპროცენტო განაკვეთი საბაზრო მექანიზმებით განისაზღვრება. ზოგადად სისტემაში საპროცენტო განაკვეთები როგორც ვალდებულებებზე, ასევე აქტივებზე, ცალკე განხილვის თემაა. რაც შეეხება ცალკეულ ბანკებს, თუკი არის შემთხვევები, როდესაც ხდება შედარებით მაღალი სარგებლის შეთავაზება, ეს არ ნიშნავს, რომ ბანკს აუცილებლად ლიკვიდობაში აქვს პრობლემები. მაგალითად, როდესაც მსხვილ კორპორაციულ კლიენტს სარგებელს შესთავაზებენ, მხედველობაში მიიღება არაერთი საბანკო პროდუქტის ამუშავების საშუალება, ანუ საპროცენტო სარგებლის რაციონალურობის შეფასებისას მხედველობაშია მისაღები არა მხოლოდ ვადიანობა, სავალუტო დენომინაცია, სარგებლის გატანის პირობები, არამედ ასევე კლიენტის პროფილი, ბანკის ბიზნეს-მოდელი. მთლიანობაში **მთავარია, რომ საცალო დეპოზიტებზე არ მოხდეს გაუმართლებლად მაღალი სარგებლის შეთავაზება, რადგანაც სწორედ მცირე დეპოზიტარებს არ შესწევთ რისკების იდენტიფიცირების, მონიტორინგის უნარი. შეგვიძლია დაგარწმუნოთ, რომ ჩვენ ამ საკითხს სათანადო ყურადღებას ვაქცევთ და დეპოზიტებზე საპროცენტო სარგებლის მცირედი განსხვავების შემთხვევაშიც კი ხდება მისი რაციონალურობის შეფასება. საქართველოს ეროვნული ბანკი საქმის კურსშია ამ მხრივ საერთაშორისო პრაქტიკის შესახებ, რაც ხაზს უსვამს საკითხის მნიშვნელობას.** მაგალითად, მხედველობაშია მისაღები 80-იან წლებში ამერიკის შეერთებული შტატების გამოცდილება, როდესაც დაზღვევის სისტემას დაქვემდებარებული დეპოზიტის მოცულობა გაორმაგდა და ამან არასასურველი შედეგები გამოიწვია ე.წ. „მორალური რისკის“ ზრდის გამო. **მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში დეპოზიტების დაზღვევის სისტემა არ არსებობს, როგორც აღვნიშნეთ, ამ საკითხს სათანადო ყურადღება ეთმობა.**

ამასთან, თავად დეპოზიტების დაზღვევის სისტემას დაზღვევას, რა თქმა უნდა, უპირატესობაც აქვს, თუმცა, როგორც ზემოთ აღინიშნა, იგი ნაკლოვანებებითაც ხასიათდება და ეროვნულ ბანკში ამ საკითხზე ინტენსიურად მუშაობენ, რათა თუ იქნა შემოღებული დაზღვევის სისტემა, იგი მაქსიმალურად უპირატესობების რეალიზაციას უნდა ითვალისწინებდეს და არ უნდა გავიმეოროთ სხვა ქვეყნებში დაშვებული შეცდომები.

**ოთარ ტურაბელიძე**

*P .S. სიმართლე გითხრათ, ეროვნულ ბანკს შეკითხვებით რომ მივმართეთ, მისგან მეტ კონკრეტულობას ველოდით. თუმცა, პასუხის მეტი კონკრეტულობისთვის ასევე უფრო მეტად კონკრეტული კითხვების დასმაც, ანუ უშუალო დიალოგია საჭირო. ამიტომაც ეროვნული ბანკის წარმომადგენლებთან შევთანხმდით, რომ მომავალში ურთიერთთანამშრომლობას აუცილებლად გავაგრძელებთ და ის მაქსიმალურად კონკრეტული იქნება. ამდენად, თუ რაიმე თემა თქვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა, მოგვმართეთ, პატივცემულო მკითხველო. შევეცდებით, ამომწურავად გიპასუხოთ.*

*ო. ტ.*

## ხედვა შორიდან

(მეოთხე გვერდიდან)

# ინალ კაზანი: აფხაზეთის დამოუკიდებლობა იდეა კი არა, რეალობაა და იგი არ შეიცვლება...

**— აფხაზეთის დამოუკიდებლობის საწინდარი სხვა სახელმწიფოს დამსახურება იყო, ამ სახელმწიფოს მიერ ჩატარებული პასპორტიზაციის ჩათვლით.**

— აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის რუსული პასპორტიზაცია აუცილებელი და მისაღები მეთოდია. აფხაზეთზე საქართველოს უფლებები უკვე წარსული თემაა. დამოუკიდებლობისათვის ომში ჩვენ გავიმარჯვეთ და საქართველო ამას უნდა შეეგუოს. ისტორია წინ მიიწევს. დადგა დრო, რომ საქართველომ ეს ფაქტი აღიაროს.

**— იმისთვის, რომ აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტი გახდეს, იგი თუნდაც იმდენივე (62) ქვეყანამ უნდა აღიაროს, რამდენმაც კოსოვო აღიარა (რუსეთმა არ აღიარა კოსოვოს დამოუკიდებლობა, მაგრამ აღიარა აფხაზეთის). როგორ შესძლებს აფხაზეთი საერთაშორისო სამართლის სუბიექტის სტატუსის გარეშე ეკონომიკურ წინსვლას, ზოგადად განვითარებას? ის ხომ რუსეთზე ძირეულად დამოკიდებული დარჩება?**

— მშვენიერი თემაა ჩაის ან ყავის ჭიქით კემბრიჯსა ან ჰარვარდში სადისკუსიოდ. თქვენს მიერ დასმული კითხვა უადგილოა. აფხაზეთის დამოკიდებლობას არ სჭირდება გაეროს ანდა ევროკავშირის აღიარება. თანაც ჩვენი დამოუკიდებლობა რუსეთის ფედერაციის მიერა გარანტირებული. იგი ვეებერთელა წინ წავიდეთ, რადგანაც აფხაზეთს არ დასჭირდება ამ გარიში დამუშავებულ და დამაჩინებულ საზოგადოებრივ აზრს გაუწიოს. ფაქტი, რომ აფხაზეთს რუსეთის ფედერაციასთან საერთო საზღვარი აქვს, რაც იმის გარანტიას გვაძლევს, რომ რუსეთში აფხაზური ადგილობრივი პროდუქციის ექსპორტი მყარი ვალუტით მოხდება, ხოლო ბუნებრივი პირობები და კლიმატი აფხაზეთს საშუალებას მისცემს დასასვენებლად მილიონობით რუსი ტურისტები მიიღოს, ასევე სტაბილური ვალუტაც მოიზიდოს. კიდევ რა გვინდა? აფხაზეთი პატარა ქვეყანაა და ჩვენი ფინანსური საჭიროებები რუსეთის ფედერაციასთან უშუალო ვაჭრობით სავსებით დაკმაყოფილდება. გაითვალისწინეთ, რომ რუსეთის ფედერაცია ჩვენს სანაპიროსა და იმ საზღვაო პორტების დაცვას ახორციელებს, რომელიც საზღვარგარეთ ვაჭრობას უზრუნველყოფს. რუსეთი საქართველოდან წამოსული ნებისმიერი თავდასხმისგანაც დაგვიცავს. კოსოვოს მაგალითმა შეცდომაში შეიძლება შეგვიყვანოს, რადგანაც კოსოვო ვერ იარსებებს გაეროს მრავალეროვანი აღიარების გარეშე, მაშინ, როცა აფხაზეთი ამას შესძლებს და აყვავდება კიდეც.

**— არსებობს აზრი, რომ თუ საქართველო ისეთი გახდება, როგორიც შვეიცარიაა, სეპარატისტული რეგიონები თავად მოინდომებენ მასში დაბრუნებასო...**

— საქართველოსა და შვეიცარიის ერთადერთი მსგავსება — მთებია! ამ თვალსაზრისით, ჩემი აზრით, აფხაზეთი უფრო ჰგავს შვეიცარიას, ვიდრე საქართველო! საქართველო ეს მესამე სამყაროს ქვეყანაა, რომელიც ათასი პრობლემის თავს ნელ-ნელა აღწევს. არ არსებობს შედარება ევროპულ შვეიცარიასა და კორუმპირებულ საქართველოს შორის. განსხვავება საქართველოსა და აფხაზეთს შორის იმიტომ იქნება თვალში საცემი, რომ საქართველო კორუფციის, უმუშევრობისა და ეკონომიკური რღვევისგან იტანჯება, მაშინ როცა აფხაზეთის განვითარება რუსეთის ეკონომიკის წარმატებას უკავშირდება. აფხაზეთი ეს ცალკე მეზობელი ქვეყანაა და თუ ეკონომიკური პრობლემები საქართველოში დაიწყება, ეს იქნება არა აფხაზეთის, არამედ სააკაშვილის პრობლემა და თუ საქართველოს სხვა ნაწილებიც გამოეყოფიან, ამაზეც სააკაშვილს უნდა უმადლოდეთ.

**— მოდით, ერთი წუთით ჰიპერბოლურ - ვირტუალური რამ წარმოიდგინეთ: საერთაშორისო თანამეგობრობა იმის სანაცვალოდ, რომ თქვენ ქართველ დევნილებს საკუთარ სახლებში დააბრუნებთ, აფხაზეთის დამოუკიდებლობას სცნობს. როგორი იქნება აფხაზეთის პასუხი? რადგანაც თქვენ ხომ უკეთესი იქნებით, ვიდრე „საქართველოს პოლიციური სახელმწიფო“? ამისთვის კი აფხაზეთმა უნდა აღიაროს ადამიანის უფლებების პრიმატი, მათ შორის, ადამიანის უფლებების საყოველთაო დეკლარაცია, მათ შორის საცხოვრებლის ხელშეუხებლობის უფლება (თავი XII ) ადამიანის უფლებების დეკლარაცია. გაერო, 1948).**

— ჰიპერბოლურ-ვირტუალურ საკითხს არანაირი ღირებულება და მნიშვნელობა არა აქვს. მე მხოლოდ რეალური მიდგომის მჯერა. ეს შეურაცხმყოფელი და ქართველურია. სწორედ ესაა საქართველოს პერსპექტივების პრობლემა. ყველაფერი ფანტაზიას ემყარება და არა რეალობას. იურიდიული თვალსაზრისით როგორადაც არ უნდა იყოს, გაეროს მიერ აღიარების შემდეგ, აფხაზეთი საერთაშორისო კანონებს დაიცავს, მაგრამ ამავე დროს ყველა ქართველმა დევნილმა აფხაზეთის კანონები უნდა დაიცვას, ფიცი აფხაზეთის კანონების, მისი კონსტიტუციის, ენისა და კულტურის ერთგულების შესახებ უნდა დადოს. ყველა ქართველ დევნილს, ვინც ამის წინააღმდეგი იქნება, ქვეყანაში შესვლა კანონიერად აეკრძალება და ისინი აფხაზეთიდან კანონიერად იქნებიან გაძევებულნი. გაეროს არ ძალუძს აფხაზეთის შიდა კანონების რეგულირება. მთავარია გათვალისწინებულ იქნას ის, რომ დევნილები თაობების განმავლობაში ქართულ მიწაზე უკვე ასიმილირდნენ. ასე რომ, ბოლოს და ბოლოს თქვენი ეს ჰიპერბოლა აფხაზეთს მხოლოდ სარგებელს მოუტანს. ისევ ვიმეორებ, საქართველოს მცდარი მიმართულება აქვს აღებული იმ შიდა პრობლემების გადაწყვეტაში, რომელიც ქართველი დევნილების სხვა დამოუკიდებელ სახელმწიფოში (აფხაზეთი) ყოფნას ეხება. არადა თქვენ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებას კვლავ ელით.

**— ანუ თქვენთვის არც გაეროს დევნილთა დაბრუნების რეზოლუციას ექნება აზრი?**

— გაეროში ამგვარი რეზოლუციის მიღება შესაძლებელია, მაგრამ განხორციელება — შეუძლებელი. საქართველომ ჯობს ფული თავისი ხალხის საქართველოში გადასახლებაზე და ამ ხალხისთვის საცხოვრისის გამოყოფაზე დახარჯოს. სწორედ ამ დროს ამუშავდება ორი სახელმწიფოს გადაწყვეტილება. ქართველები საქართველოში დაბრუნდნენ, ხოლო აფხაზები — აფხაზეთში, იქ, სადაც ისინი „თავისიანები“ არიან. ეს პრობლემა ეროვნებით ქართველმა იოსებ სტალინმა შექმნა და ახლა მის ცოდვებს საქართველო ზღავს.

**— თავად თქვენ თუ გაქვთ პოლიტიკური ამბიციები და მოელით თუ არა აფხაზეთის მთავრობაში რაიმე პოლიტიკური თანამდებობის დაკავებას?**

— ამ მომენტისთვის მე არა მაქვს აფხაზეთთან დაკავშირებული პოლიტიკური ამბიციები. მე და აწ გარდაცვლილ მამაჩემს ჩვენს ეთნიკურ სამშობლოში პოლიტიკური მისწრაფებები ნამდვილად გვქონდა. ჩვენი მისია გახლდათ აფხაზი ერისა და მისი მთავრობის დახმარება, სამშობლოში ეკონომიკური და სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესება. ამავე დროს მამაჩემმა მთელი თავისი სიცოცხლე აფხაზ ხალხსა და მთელს ჩრდილოეთ კავკასიაში თავის ერს მიუძღვნა, რაც საჭირო თანამიმდევრობითაა დოკუმენტირებული. მეც ვიზიარებ აფხაზეთის სოციალურ და ეკონომიკურ აყვავებასთან დაკავშირებით მამაჩემის ერთგულებას, ენთუზიაზმს და სამშობლოს დიასპორის საშუალებითა და ჩემი ორგანიზაციების — Abkhaz Alliance, Caucasus Foundation — მეშვეობით ვეხმარები. მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდები ამგვარ თანამდებობას, თუ ხალხის საკეთილდღეოდ სამსახურისთვის აფხაზი ერი წარმადგენს. დასასრულ მინდა აღვნიშნო, რომ არც ერთი ჩემი ზემოთქმული სიტყვა ქართველი ხალხის შეურაცხყოფისკენ არაა მიმართული. არამედ იმისთვის, რომ სამშობლოსა და მის საზღვრებს გარეთ აფხაზი ხალხის პოზიცია და მომავალი ცხადად გამოვხატო. აშკარაა, რომ აფხაზების აბსოლუტური უმრავლესობა არასოდეს დაუბრუნდება საქართველოს და მას ვერანაირი ახალი მიიღებს. დადგა დრო, როდესაც საქართველოს ხელმძღვანელობამ ხმამაღლა უნდა აღიაროს, რომ აფხაზეთი არასოდეს იყო და არ გახდება საქართველოს ნაწილი. სხვა სახის განცხადებები ძველმოდური და შოვინისტურია.

**ია მერკვილაძე,**
**აშშ, ნიუ-იორკი**

ⓞ აკადემია

# „ღმერთმა ქნას, გაგვემართლებოდეს მოლოდინი“

***ახალი წლის დადგომასთან დაკავშირებით სმეა-ს რამდენიმე ნამდვილ წევრს შევეხმიანე – რას იტყოდით გაცილებულ 2009-ზე და შემოსულ 2010-მეთქი.***

***გთავაზობთ აკადემიკოსთა პასუხს.***



**როინ მეტრეველი, სმეა-ს საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების აკადემიკოს-მდივანი:** – გასული წელი ჩემთვის იმით იყო ღირსშესანიშნავი, რომ გამოვეცით „ქართლის ცხოვრება“ ქართულ და რუსულ ენებზე; რუსმა მკითხველმა პირველად მიიღო ასეთი სრულყოფილი გამოცემა. ქართულს რაც შეეხება, აქ გათვალისწინებულია ბოლო ათწლეულების სიგრძეზე გამოთქმული ყველა შენიშვნა თუ მოსაზრება სიმონ ყაუხჩიშვილისეული გამოცემის მისამართით. ამასთანავე გათვალისწინებულია ყაუხჩიშვილის გამოცემის შემდეგ აღმოჩენილი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხა (ე. წ. კლიმიაშვილისეული).

ჩვენს გამოცემაზე ჩემი მთავარი რედაქტორობით იმუშავა აკადემიის ერთობ სოლიდურმა კოლექტივმა.

2010-ზე იმას გეტყვით, რომ ადამიანის ბუნება ასეთი, ახალი წლისაგან რაღაცა ცვლილებებს, რაღაცა სასიკეთოს მოელოდეს. ღმერთმა ქნას, გაგვმართლებოდეს მოლოდინი...



**მინდია სალუქვაძე, გამოყენებითი მექანიკის, მანქანათმშენებლობისა და მართვის პროცესების განყოფილების აკადემიკოს-მდივანი:** – მნიშვნელოვანი რამ ჩემს პირად ცხოვრებაში შარშან არაფერი არ მომხდარა.

განყოფილებაში, რომელსაც მე ვუძღვები, ჩატარდა წევრ-კორესპონდენტთა არჩევნები, რომლითაც უკმაყოფილო ვარ.

ქვეყანაში რაც ხდება, ამას ყველანი ვხედავთ. ღმერთო, შენ გაამთლიანე საქართველო და ქართველები.

**გივი ცინცაძე, ქიმიისა და ქიმიური ტექნოლოგიის განყოფილების აკადემიკოს-მდივანი:** – განყოფილებამ გასულ წელს შეძლო მჭიდრო კავშირებისა და მეცნიერული ურთიერთობების შენარჩუნება როგორც აკადემიის ყოფილ პროფილურ ინსტიტუტებთან, ისე თბილისის, ქუთაისის, ბათუმის უმაღლეს სასწავლებლებთან. ჩვენ გვყავს დარგობრივი კომისია, რომელიც ჯეროვან ყურადღებას აქცევს როგორც სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის, ისე სასწავლო პროცესების მიმდინარეობას.



დამდგარ წელს იმედიანად შევყურებ, ვფიქრობ, კვლავ შემოქმედებითად გაგრძელდება ჩვენი განყოფილების საქმიანობა, გაძლიერდება კონტაქტები ჩვენი ყურადღების ობიექტებთან, რაც შეგვაძლებინებს ძირითადი პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენასა და პრაქტიკაში სამუშაოთა შედეგების დანერგვა-გამოყენებას.

ჩაიწერა
**თამაზ ეზანოიძემ.**

ⓞ გამოფენა

# „შობიდან ნათლისღებამდე

**„გაუფრთხილდით და დაიცავით ჭეშმარიტი მართლმადიდებელი სარწმუნოება, რადგან მხოლოდ მართლმადიდებელი ეკლესია ინახავს უძველესი სამოციქულო და განუყოფელი ეკლესის რწმენას და ტრადიციებს“.**

**უწმინდესი და უნეტარესი, კათოლიკოს-პატრიარქი ილია II.**

**შობა ერთ-ერთი დიდი დღესასწაულია სხვა მართლმადიდებელი დღესასწაულებიდან. სრულიად მართლმადიდებელი საზოგადოება ორმოცდღიანი მარხვით ემზადება ამ დღისთვის და განსაკუთრებით აღნიშნავს.**

„შობიდან ნათლისღებამდე“ – ამ სახელწოდებით ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორმა და ორგანიზატორმა ზუზა კუდავამ გამოფენა გახსნა. ექსპოზიციის მიზანი იყო, თავი მოეყარა და თანამიმდევრობით წარმოეჩინა უნიკალური ქართული ხელნაწერები, სადაც მოვლენები მაცხოვრის შობიდან დღემდეა ასახული.

**„ჩვენი ხალხისთვის ეს დღე განსაკუთრებულია. ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში ინახება უნიკალური ხელნაწერები, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმ მემკვიდრეობას, რაც ჩვენ გაგვაჩნია. წარმოდგენილ ნამუშევრებში სახარებები სჭარბობს“,** – განაცხადა ზუზა კუდავამ.

მეთორმეტე და მეთვრამეტე საუკუნეების მოხატული ხელნაწერები ოთხ დიდ დღესასწაულს (შობა, წინადაცვეთა, მირქმა, ნათლისღებაძ მოიცავდა, რომლის ილუსტრირებაც ათი სიუჟეტით მოხდა.

ასევე გამოიფინა გელათის (XII ს.ძ; ჯრუჭის (XII ს.ძ; ვანის (XII–XIII ს.ს.ძ; ლარგვისისა (XII ს.ძ და სხვა ხელნაწერი სახარებები.

**„ეს გამოფენა ახალგაზრდა თაობისათვის დიდად მნიშვნელოვანია. სამწუხაროდ, ბევრმა არ იცის და არ უნახავს რა დიდი ქონების პატრონები ვართ ქართველები. ამით განათლებას მიიღებს და დააფასებს ჩვენს ისტორიას, მეათე საუკუნის სახარებას. ვუყურებ და ვხვდები, თუ რა დიდი სიყვარულითაა სიწმინდეები შესრულებული“,** – განაცხადა არქიმანდრიტმა დიმიტრიმ.

**ეკა მაშიაშოვა**

ⓞ კონფერენცია

# ევროკავშირის კიდევ ერთი დაფინანსებული პროგრამა

**ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის ფარგლებში არსებული პროექტის შემაჯამებელი შეხვედრა გაიმართა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გია ხუბუამ პარტნიორ უნივერსიტეტებს და სტუმრებს მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ საერთაშორისო პროგრამებში მონაწილეობა მნიშვნელოვანია. „ჩვენი, ქართველი პროფესურა უცხოეთში წამყვან უნივერსიტეტებთან ერთად ავითარებს თანამედროვე პროგრამებს. ერთობლივად გაცილებით მეტი რამის გაკეთება შეგვიძლია. პირველი შემთხვევაა, როდესაც ბიოტექნოლოგიაში ასეთი ფართო პროექტი განხორციელდა. მსგავსი თანამშრომლობა მნიშვნელოვანია იმიტომ, რომ მეზობელი სახელმწიფოებისთვის მიმზიდველი გავხდეთ“.

ღონისძიებაში მონაწილეობდა პროექტის ყველა წევრი: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, დასავლეთ ინგლისის უნივერსიტეტი, დუბლინის ტექნოლოგიების ინსტიტუტი და თესალონიკის არისტოტელეს სახელობის უნივერსიტეტი. მოწვეულ სტუმრებს შორის იყვნენ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, ევროკომისიისა და ბრიტანეთის წარმომადგენლები.

**ნინო ინასარიძე, პროექტის კოორდინატორი, ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი:**

„ევროკავშირის ტემპუსის პროგრამის მიერ დაფინანსებული პროექტი 2007 წელს დაიწყო, რის შედეგადაც ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე შეიქმნა და 2009 წელს ამოქმედდა ახალი საბაკალავრო პროგრამა „გამოყენებითი ბიომეცნიერება და ბიოტექნოლოგია“. პროგრამა უზრუნველყოფს ბიომეცნიერებებისა და ბიოტექნოლოგიის დარგში ჯანდაცვის, აგრარული და კვების ბიოტექნოლოგიების სპეციალობით მაღალკვალიფიციური კადრების მომზადებას“.

პროექტის ეფექტიანად განხორციელების მიზნით, ჩამოყალიბდა მუდმივმოქმედი მრჩეველთა საბჭო, რომელშიც გაერთიანდნენ პოტენციური დამსაქმებლები: მეწარმეები, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრებისა და მარეგულირებელი სამსახურების წარმომადგენლები. საბჭო ხელს უწყობს უნივერსიტეტისა და დამსაქმებლებს შორის მჭიდრო და მრავალმხრივი თანამშრომლობის განვითარებას.

**თინათინ ბორცვაძე**

ⓞ 14 იანვარი – ქართული თეატრის დღე

ნანა ღვინეფაძე

# რკალიდან – „არტისტული სახეები“

## თუ არ დაღამდა

რობერტ სტურუას
„გოდოს მოლოდინის“
შთაგეჭდილებებით

გული სიტყვით
დაკოდილი
არასოდეს გამთელდება;
თუ არ დაღამდა,
თუ არ დაღამდა,
თუ არ დაღამდა,
არ გათენდება...
გათენებამდე დიდზე დიდი
მთვარე ამოვა, –
და იმ მთვარიდან
როდის როდის და...
გოდო ჩამოვა, –
როგორც სიზმარში,
როგორც მირაჟში!..

2002 წლის ღვინობისთვის 17

## ვარსკვლავეთი

რუსთაველელთა
ვარსკვლავებს ვითვლი, –
რამაზ და გურამ, –
კარლო და კახი;
თანავარსკვლავედს
ამშვენებს ჩვენი
უსაყვარლესი
ჩახავას ქალი!..
ესაა მათი ცხოვრების
ჯილდო,
წლების მანძილზე
ნალეწი კალო!...
და...
გაიელვებს
წარსულის წამი;
... გვაცილებს კარლო
თეატრიდან
მე და ლეილას,
სახლის კარამდე
მიგვიყვანს ხოლმე, –
გზაში ოხუნჯობს,
ოხუნჯობაში
მას ცოტა ვინმე
ეცილებოდა!
იმდენს ხუმრობდა
საკანდელიძე,
ცაში ვარსკვლავებს,
ეცინებოდათ!..
ახლად ჩათვლემილ
სოლოლაკს
ღიმილით ეღვიძებოდა...
.................................
რუსთაველელთა
ვარსკვლავებს ვითვლი,
თუმც სათვალავში
მაკლია ერთი –
ისიც ღვთიური
ნიჭით ქებული, –
მელპომენასგან
მირონცხებული!
მას სახელიც კი
ღვთიური ჰქვია!
სხვაც მიმიხვდება
ვისაც ვგულისხმობ, –
ეს გამოცანად
არ გამომითქვამს, –
წამოიძახებს ალბათ,
უმისნოდ!..
..............................
მეც ამას ველი!..

2009 წლის ქრისტეშობისთვის 1

— — — — — — — — — — — — — — — — — — — —

**სტუდენტობის დროინდელი სურათები ამოვძებნე, – ერთ-ერთი კარლოს ჩემი დაბადების დღის წინ უჩუქებია წარწერით: „სახსოვრად „დიდ კრიტიკოსს“ „დიდი მსახიობისგან“, იმედია, ეს გრჭყალები ჩამოგვეცლება. ნანას კარლოსგან. თბილისი, 1948 წ. 28.IV. მეორე ფოტო სადიპლომო სპექტაკლის „ციმბირელის“ გათამაშებისას არის გადაღებული (დადგმა რეჟისორ კუკური პატარიძისა, ციმბირელის როლს დოდო აბაშიძე თამაშობდა). „ნანა, შეინახე ეს სურათი და ოდესღაც მოგაგონდება ინსტიტუტის კედლებში გატარებული ცხოვრება... კარლო პეტუა მაშო – ციალა შუბლაძე. 1949 წლის 22 II.**

**... ჰოდა, გრჭყალები შენ მართლაც ჩამოგშორდა, კარლო ბატონო, მე კი სიტყვა შევასრულე, „შევინახე ჩვენი ახალგაზრდობა“...**

**ლეილა დათუნაიშვილთან ერთად გადაღებული სურათი კი განსაკუთრებით მიყვარს – პირველკურსელი ვიყავი მაშინ...**





**მესამე სურათი კი ჩემმა მეგობარმა ჯავარ ლომაძემ რობერტ სტურუას ძველ თბილისში სეირნობისას გადაუღო (ფარული კამერით).**

**ნ. ღ.**



## რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სააკაშვილისა და მედვედევის შეხვედრა რატომ უნდა მოხდეს უჰალსტუხებოდ?

**ამბობენ, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი არასოდეს დაემორჩილება დამპყრობელთა დიქტატს. ეს ასეა. და მთელი ძალით გაუწევს იგი მას წინააღმდეგობას. ესეც სწორია. მაგრამ რაც უფრო ძლიერია ომის მოლოდინი, მით რთული იქნება მისი შეჩერება. რაც უფრო ძლიერი იქნება საქართველოს საზოგადოებაში სამხედრო ისტერია, მით უფრო ძნელი იქნება გაჩაღებული ომის კერების ჩახშობა**

ბრძანეთ, თქვენ უკვე გადაწყვიტეთ, თუ ვის სჭირდება ხეიბრები და ობლები, ომის შემდეგ რომ რჩებიან? „კარგი“, თუ ეს იქნება თქვენი მამა, თქვენი მეუღლე, თქვენი ვაჟიშვილი?... „კარგი“, თუ ესენი იქნებიან თქვენი დალუპული ძმისშვილები?... ხოლო თუ ეს იქნება სხვისი ქმარი, სხვისი შვილი, სხვისი ძმა, სხვისი ბავშვები?... აიყვანთ მათ? მოუვლით მათ, როგორც საკუთრებს, გაუყოფთ მას პურის უკანასკნელ ლუკმას?

ვის რაში სჭირდება სხვისი დედაბრები და ბერიკაცები, რომლებიც დარჩნენ დაღუპული შვილებისა და შვილიშვილების მზრუნველობის გარეშე? ვისი შრომისმოყვარე ხელები გააგრძელებენ ღვთივკურთხეული საქართველოს ბაღებისა და ვენახების მოვლას?

ნუთუ მოვლენ „ოკუპანტები“, ყველას დახოცავენ და ყველაფერს წაიღებენ? ეჭვი მეპარება. თავად რუსებსაც 20 ათასი და 100 ათასი მიტოვებული სოფლები, ხუტორები და ქალაქები აქვთ, სხვა „არაპერსპექტიული“ დასახლებული პუნქტები და წლითიწლობით მიტოვებული რუსული სოფლების მცხოვრებლების რაოდენობა თანდათან და ძლიერად მცირდება. მაგალითად, რუსეთის ცენტრალურ რაიონებში უკვე ძალიან ხშირად შეიძლება შეხვდე სოფელს, სადაც 7-9 კაცი ცხოვრობს, ანდა სოფელს, სადაც 5-6 მოხუცი დარჩა. ახალგაზრდობა კი უკვე მიმოიფანტა ქალაქებში და დაიკარგა. არსებითად რუსი ხალხი კარგავს თავის ფესვებს, იქცევა უდაბურ ადგილებად.

ასე რომ, არ სჭირდებათ რუსებს ქართული სოფლები – მათ თავიანთიც ბედის ანაბარა მიატოვეს!

მაშ, ვინღა ემუქრება საქართველოს? ვის სურს სახლების, ქარხნებისა და ფაბრიკების წართმევა? ძნელი საკითხია. სჯობს, ამ საკითხს გვერდი აუარო და გამოთქვა ასეთი აზრი: იმისათვის, რომ შეინარჩუნო საკუთარი სახლები, ქარხნები და ფაბრიკები, უნდა იბრძოლო არა იარაღით ხელში, არამედ მიაღწიო იმას, რომ არ იყოს ომი.

თქვენ კი პირადად რას გააკეთებდით იმისთვის, რომ კავკასიაში ომი არ ყოფილიყო? დაიწყებდით საქართველოს საზღვრების გასწვრივ ტანკსაწინააღმდეგო სანგრების თხრას, ააშენებდით ბლინდაჟებს? ჩაეწერებოდით საქართველოს არმიაში კონტრაქტით? თუ ხმას ჩაიხლიჩავდით ყვირილით მოედნებზე? ან იქნებ მისწერდით „საპროტესტო წერილებს“ ვ.პუტინს?

რასაკვირველია, ხდება, რომ წერილები არ მიდის ადრესატამდე. ასეთ შემთხვევაში შეიძლება მოიქცე გლეხურად, ეშმაკურად, გაგზავნო საკუთარი წერილი ერთბაშად ორი მისამართით, ვილაცა ხომ გიპასუხებს.

თქვენ არ გიცდიათ „მშვიდობის წერილის“ მიწერა, მაგალითად, დიმიტრი მედვედევისთვის? რასაკვირველია, მისი ავტორიტეტი მსოფლიოში ჯერჯერობით არ არის ისეთი მაღალი, როგორიც ვლადიმერ პუტინისა, მაგრამ მაინც...

ბოლოს და ბოლოს, დიმიტრი მედვედევი, მართალია, ინტელიგენტია,



მაგრამ შეუძლია შეკრიბოს რუსეთის მინისტრები და ჰკითხოს მათ, თუ რა გეგმები აქვთ საქართველოსთან დაკავშირებით. რასაკვირველია, ვლადიმერ პუტინსაც შეუძლია მოსთხოვოს მათ, თუ რატომ არის, რომ ისინი დღემდე ვერ ერკვევიან საქართველოსთან დამოკიდებულებაში. მაგრამ თქვენ გსურთ მოვლენათა ასეთი ცვლილება? პირადად მე ომი არ მინდა.

შარშან რუსეთში დადიოდა ძლიერი ხმები საფრანგეთისგან დიდი სადესანტო შვეულმფრენის შესაძლო შესყიდვის შესახებ. მაგრამ ეს ხომ აგრესორის იარაღია. რისთვის სჭირდება რუსეთს შავ ზღვაზე ასეთი მონსტრი? რისთვისაა საჭირო რკინის კუნთებით ასეთი თამაში?

ნუთუ ვილაცას სურს რუსეთში, ხელში ჩაიგდოს საქართველო ზღვიდან? ან იქნებ ვინმეს სურს დააშინოს თავისუფლებისმოყვარე ქართველი ხალხი? ან იქნებ ეს არის საშუალება, მოახდინოს ზეგავლენა საქართველოს დამოუკიდებელ ხელმძღვანელობაზე?

ან იქნებ საქმე სულაც არ არის ისე, რომ საქართველო წარმოადგენდეს სამხედრო საფრთხეს რუსეთისთვის? იქნებ ვინმეს აქვს შესაძლებლობა ააშენოს თავის გემთსაშენებზე 2-4 ასეთი შვეულმფრენი და ამით ფულები მოიპოვოს? რასაკვირველია, შეიძლება აშენო სამოქალაქო გემებიც და სამხედრო ხომალდებიც სხვა ქვეყნებისთვის. მაგრამ ასეთი შეკვეთებისთვის უნდა იბრძოლო: მიიღო მონაწილეობა ტენდერებში, კონკურსებში, მკაცად დაიცვა პროდუქციის ხარისხი.

აი, მე უკვე მაძლევენ „სიგნალს“, რომ კმარა შეკითხვების დასმა. ასეც მოვიქცევი. საერთოდ, საჭიროა ნაკლები ემოცია, მეგობრებო, საჭიროა მეტი პრაგმატიზმი! იმისთვის, რომ არ იყოს ომი, უნდა გავაკეთოთ ისე, რომ იგი ხელსაყრელი არ იყოს. უფრო სწორად რომ ვთქვათ – მშვიდობა იყოს უფრო ხელსაყრელი.

სამწუხაროდ, ამჟამად ამის მიღწევა ძნელია. არ მინდა ვინმეს წყენინება, მაგრამ ზოგიერთი პოლიტიკოსი იმისთვის, რომ დარჩეს ხელისუფლებაში, სხვები კი რომ მოვიდნენ ხელისუფლებაში, ამძაფრებენ საქართველოს საზოგადოებაში სამხედრო ისტერიასა და ანტირუსულ განწყობილებას. ვფიქრობ, ეს არაკონსტრუქციული მიდგომაა. მოგებული რჩებიან ერთეულები, წაგებული – მთელი საზოგადოება და საქართველოს მთელი ეკონომიკა. რამდენი დაკარგული კონტრაქტია, რამდენი ხელიდან გაშვებული მოგება, რამდენი გაწყვეტილი კავშირურთიერთობა, მათ შორის, ნათესაურიც. ომი არ ღირს იმად, რომ მის გამო განიცდიდე გაჭირვებასა და ტანჯვას.

ნუთუ არ დადგა დრო, რომ საქართველოს და რუსეთის ხელმძღვანელობამ გადაწყვიტონ „დასხდნენ ერთი მეორის გვერდით და ისაუბრონ ტკბილად“? მართლაც, ახლა ის საუკუნე ხომ არ არის, რომ ვემსახურებოდეთ მილიტარისტებს. ჩვენს ეკონომიკებს ბევრი შეხების წერტილი აქვთ ისეთი, რომლებიც საქართველოს მდინარეებს რძის ნაკადებად აქცევს.

დავიწყოთ, თუნდაც, თანამშრომლობით ელექტროენერგეტიკის დარგში. მაგრამ სიტუაცია ამიერკავკასიაში უდიდესი ენგურჰესის გარშემო გვაგონებს ი.კრილოვის „გედის, კიბოსა და ქარიყლაპიას“ იგავ-არაკს – განა არ შეიძლება მოვძებნოთ იმდენად ხელსაყრელი გადაწყვეტილება, რომ მან დააკმაყოფილოს ყველა მხარე და უფრო მეტიც – „ყველა მსურველი“.

ამასთან დაკავშირებით იქნებ ვინმე დააინტერესოს კიდეც ერთმა ნაცნობმა – ნიჭიერმა ორგანიზატორმა, საერთაშორისო დონის მაღალი კლასის სპეციალისტმა. ჩვენი მონაცემებით, ის შეუმჩნეველია კავშირში რუს ოლიგარქებთან. ამ შემთხვევაში ეს უდავო უპირატესობაა. მაგრამ შეიძლება აქ წარმოიშვას ტიპური რუსული წინააღმდეგობანი – ანდა სურვილი დასვან „საყველპურო ადგილზე“ თავისი კაცი (რომელიც ყველაფერს დაანგრევსძ, ანდა („საკარიერო“ ვარიანტის შემთხვევაშიძ წარმოიქმნება მოშურნეთა ჯგუფები. ამიტომ არ ვასახელებ ამ სპეციალისტის გვარს უმალვე.

ვფიქრობ, ბევრი მომწიფებული საკითხის გადაჭრა შეუძლიათ აგრეთვე ერთობლივად ჩვენი ქვეყნების ლიდერებსაც. მაგრამ ძნელად სავარაუდოა, რომ მ.სააკაშვილი ადგება და ჩამოფრინდება მოსკოვში პუტინთან. ან იქნებ ჩვენი პრეზიდენტების შეხვედრა მოვაწყოთ „ნეიტრალურ“ ტერიტორიაზე, მაგალითად, ყირიმში? მაგრამ არ მინდა, რომ საზოგადოებრიობას შეექმნას იალტის კონფერენციის ასოციაცია.

იქნებ დასაწყისისთვის მოგვეწყო მიხეილ სააკაშვილისა და დიმიტრი მედვედევის არაოფიციალური შეხვედრა სოჭში? დაათვალიერებდნენ იქ მომავალი ოლიმპიადის ობიექტებს, წაიდავებდნენ, თუ ვისი სპორტსმენები მიიღებდნენ მეტ მედლებს, გაიცინებდნენ ახალ ანეკდოტზე.

ამბობენ, სომხეთის რადიოს გაუგზავნეს შეკითხვა: „რატომ შედგა სააკაშვილისა და მედვედევის შეხვედრა უჰალსტუხებოდ“. სომხეთის რადიომ უპასუხა: „იმიტომ, რომ ამ დროს...“

სხვათა შორის, იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლებოდა, რომ მათ ერთად ებანავათ ფინურ საუნაში, ან ეცურავათ შავ ზღვაში, შეუძლია გვიამბოს ბავშვმაც კი. გაცილებით უფრო საინტერესოა ისტორიის გაგრძელება იმის შესახებ, თუ როგორ მოაწერდნენ ხელს პრეზიდენტები მ.სააკაშვილი და დ.მედვედევი ხელშეკრულებას თავდაუსხმელობისა და ურთიერთდახმარების შესახებ აგრესიის შემთხვევაში. ამბობენ, რომ საუკეთესო ინფორმაცია ამის შესახებ გამოქვეყნდება!

ГЛАВНОЕ

# დაზავების ნიშნები ქართველებს იმედებს უსახავს

**როდესაც სამი წლის წინათ ესტონეთმა საბჭოთა სამხედრო ძეგლი სხვა ადგილას გადაიტანა, პროკრემლისტურმა აქტივისტებმა ახალგაზრდულ მოძრაობაში მოაწყეს მოსკოვში მრისხანე საპროტესტო აქციები. ამას გარდა, შეუტიეს ესტონეთის ვებ-გვერდებსაც, ხოლო დაძაბულობამ რუსეთსა და ამ ბალტიისპირა ქვეყანას შორის, მიაღწია სარეკორდო ნიშნულს**

გასულ თვეში საქართველო, რომელიც უკვე იყო ჩართული ხანმოკლე სამხედრო კონფლიქტში რუსეთთან თავისი სეპარატისტული რეგიონის სამხრეთ ოსეთის გამო, გადაწყვიტა განეხორციელებინა კიდევ უფრო მასშტაბური აქცია და აეფეთქებინა მსგავსი სამხედრო ძეგლი.

ბევრისთვის გასაოცრად პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა ამასთან დაკავშირებით გააკეთა უკანასკნელ პერიოდში ლამის ყველაზე მეგობრული შენიშვნა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობაში. „ურთიერთობას ჩვენს ხალხებს შორის... აქვს მყარი, საუკუნეების განმავლობაში ჩამოყალიბებული საძირკველი და ჩვენ ერთმანეთთან დაკავშირებული ვართ ათასობით უხილავი ძაფებით და ისტორიით“, – განაცხადა მან 23 სექტემბერს ზურაბ ნოღაიდელთან შეხვედრის დროს.

ამას გასულ კვირას მოჰყვა პირველი 2008 წლიდან სამგზავრო ავიარეისი თბილისსა და მოსკოვს შორის, აგრეთვე მოლაპარაკება მარტში ერთადერთი სახმელეთო-სასაზღვრო გადასასვლელის გახსნის შესახებ ორ ქვეყანას შორის.

ეს დაახლოება წარმოშობს იმედებს, რომ ურთიერთობა შეიძლება მოწესრიგდეს.

„დარწმუნებული ვარ, რომ ეს პროცესი გაგრძელდება“, განაცხადა მიხეილ ხუბუტიამ, რუსეთში ქართველთა კავშირის ხელმძღვანელმა.

შერიგების ყველა ეს ნიშანი მით უფრო საოცარია, რამდენადაც უკომპრომისოა თბილისის პოზიცია მოსკოვთან დაკავშირებით და ყველა ოფიციალური კონტაქტები შეწყვეტილია.

სააკაშვილმა ორშაბათს ამერიკელ სენატორს ჯონ მაკკეინს ეროვნული გმირის წოდება მიანიჭა. ეს უმაღლესი სახელმწიფო ჯილდოა საქართველოში. ამ სენატორს მოსკოვში კრემლის ყველაზე თავგამოდებულ კრიტიკოსად მიიჩნევენ. სამხრეთ ოსეთში საბრძოლო მოქმედებათა დროს სენატორმა განაცხადა, რომ „დღეს ჩვენ ყველანი ქართველები ვართ“.

რუსეთის პრეზიდენტმა სააკაშვილს სამხედრო დამნაშავე უწოდა, პუტინი კი, როგორც ცნობილია, დაემუქრა „ჩამოკიდოს იგი ერთი ადგილით“.

პოლიტიკური და სამხედრო ანალიზის ინსტიტუტის ექსპერტი სერგეი მარკედონოვი აღნიშნავს, რომ პირველი ჩარტერული რეისები და სასაზღვრო გასასვლელის გახსნა გვიჩვენებს – თანამშრომლობის მინიმალური დონე აუცილებელია. „უბრალოდ შეხედეთ საქართველოს გეოპოლიტიკურ რუკას“, – დაუმატა მან.

ზემო ლარსის სასაზღვრო პუნქტის გახსნა, რომელიც დაიკეტა 2006 წლიდან, დაეხმარება აგრეთვე სომხეთსაც – ტრადიციულად მოსკოვის ყველაზე მახლობელ მოკავშირეს ჩრდილოეთ კავკასიაში. ამ ქვეყანას არ აქვს ზღვაზე გასასვლელი და მან ბევრი ზარალი განიცადა რუსეთ-საქართველოს კონფლიქტისგან, ვინაიდან იგი აწარმოებს ვაჭრობას რუსეთთან საქართველოს გავლით, მას შემდეგ, რაც თურქეთმა და აზერბაიჯანმა 1990-იანი წლების დასაწყისში მთიან ყარაბაღში კონფლიქტის შედეგად დააწესეს ბლოკადა.

თურქეთმა და სომხეთმა შარშან ოქტომბერში გადაწყვიტეს თავიანთი საზღვრის გახსნა, მაგრამ ამ ხელშეკრულებათა რატიფიკაცია ჰაერში გამოკიდებული აღმოჩნდა ორივე ქვეყანაში ძლიერი საშინაო ოპოზიციის გამო.

The Moscow Times.com

## დედამიწის ზურგზე




**ერაყში თავიდან აიცილეს გრანდიოზული ტერაქტი და გახსნეს ფართომასშტაბიანი შეთქმულება**

ბაღდადში პოლიციამ შეაჩერა და გააუვნებლა ოთხი დანაღმული ავტომობილი, რომლებიც მიემართებოდნენ მთავრობის შენობებისკენ. მათი მძღოლები დაპატიმრებულია. ამას გარდა აღმოაჩინეს რამდენიმე საწყობი ასაფეთქებელ მასალათა დიდი მარაგით. დაპატიმრებულია 25 კაცი.

* * *

**პაკისტანში სასკოლო ავტობუსი მატარებელს შეეჯახა: დაიღუპა 12 ბავშვი, 20 დაიჭრა**

ტრაგედია მოხდა დილით ქალაქ მიან ჩანუს გარეუბანში ქვეყნის აღმოსავლეთში. უბედურების მიზეზი გახდა ავტობუსის მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების დარღვევა. ცუდი როლი შეასრულა ცუდმა ამინდმაც – პაკისტანის დიდ ნაწილში ნისლიანი ამინდია.



* * *

**ჰაიტში მოხდა 7 ბალის სიმძლავრის მიწისძვრა: ათასობით ხალხი ნანგრევებშია**

ბევრი შენობა, მათ შორის პრეზიდენტის სასახლეც დანგრეულია (პრეზიდენტი და მისი მეუღლე არ დაზარალებულან). მძვინვარებენ ხანძრები. არ არიან საკმარისი სასმელი წყალი და უნარიანი მაშველები. ხდება ძარცვა და მაროდიორობა. ბევრი ხალხი დაბლოკილია გადარჩენილ შენობებში. გამოსასვლელები ამოვსებულია შენობების ნანგრევებით. გაეროს ბევრი თანამშრომელი უგზოუკვლოდ დაიკარგა.

* * *

**კამჩატკელმა ჩინოვნიკებმა ვენესუელაში ბოლივარის პიკზე აღმართეს „ერთიანი რუსეთის“ დროშა**

მხარის მთავრობის თავმჯდომარის მოადგილემ ვალერი კარტენკომ, კამჩატკის საწარმოებისა და მეწარმეთა ასოციაციის თავმჯდომარემ რაშიდ შამოიანმა, აგრეთვე კამჩატკის საძიებო-სამაშველო რაზმის უფროსმა ვიტალი მალკოვმა დაიპყრეს ამ ქვეყანაში ყველაზე მაღალი და ყველაზე ძნელი მწვერვალი.



ნუთუ სიმართლეა?

*ამას წინათ მსოფლიო მოიარა ახალმა ამბავმა: დნმ-ს ანალიზმა, რომელიც აიღეს რუსეთის უშიშროების ფედერალური სამსახურის არქივში არსებული ჰიტლერის თავის ქალიდან, აჩვენა – ქალი ეკუთვნოდა 40 წლის ქალს. მაშასადამე, თვითმკვლელობამ ბერლინში 1945 წლის 30 აპრილს შეწყვიტა ჰიტლერის მხოლოდ ერთი ორეულის სიცოცხლე. თავად იგი კი, როგორც დიდი ხანია ფიქრობენ ისტორიკოსები, გაიპარა ბერლინიდან და მიიმალა.*

# მე-4 რეიხი ანტარქტიდის ყინულებში

## ნაცისტებს შეეძლოთ საიდუმლო ქალაქში დამალულიყვნენ

*სად? სამხრეთ ამერიკაში? ძნელი სავარაუდოა – ომის შემდგომ წლებში იქ დიდხანს მიმდინარეობდა ძიება და ნადირობა ნაცისტებზე. მეორე ვერსია ნახევრად ფანტასტურია – ანტარქტიდაში.*

### კლონები სვასტიკით

**გერმანია, რომელიც მოგვიანებით სხვა ლიდერმა ქვეყნებმა გააერთიანეს, კოლონიების დაყოფის დროს უყველაფროდ აღმოჩნდა.** პირველმა მსოფლიო ომმა ვერ გადაჭრა მისი ეს პრობლემა. პირიქით, ჩაითრია ქვეყანა ეკონომიკურ კრიზისში, მასობრივ სიღარიბეში, „ერის დამცირებაში“, როგორც ნაცისტები გაჰყვიროდნენ. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მათ ენერგიულად დაიწყეს მდგომარეობის გამოსწორება. მათ შორის ეძებდნენ ტერიტორიის გაფართოების საშუალებებსაც. განუყოფლად რჩებოდა ყინულით დაფარული და უსიცოცხლო მეექვსე კონტინენტი.

იქ 1939 წლიდან რეგულარულად იგზავნებოდა რეიხის გემები, რომლებსაც გადაჰქონდათ არა მხოლოდ იქ მყოფი მკვლევარებისთვის სათანადო ბარგი-ბარხანა, არამედ რელსებიც, ვაგონეტებიც, სამთო გასასვლელი მოწყობილობანი. მაგრამ მო-



დების სამეფოს მიწის სანაპიროზე გერმანელები დასახლდნენ და ამ ტერიტორიას უწოდეს ახალი შვაბია (შვაბია – ეს არის შუა საუკუნეების საჰერცოგო გერმანიის სამხრეთში). ფართობით იგი თავად გერმანიისას სჭარბობდა. გერმანელებმა თავისებურად მიითვისეს ახალი მიწები, ყრიდნენ თვითმფრინავიდან ლითონის ვიმპელებს სვასტიკით.

მეორე მსოფლიო ომის დროს გერმანელები ისე ფრთხილად უვლიდნენ თავიანთ პრიპოლარულ სამფლობელოებს, რომ ხშირად იქ აგზავნიდნენ თავიანთ სამხედრო-საზღვაო ძალებს და ესროდნენ კიდეც იმ ქვეყნების ვეშაპებზე მონადირე გემებს, ვინც ომში არ მონაწილეობდა. თითქოსდა რა საქმე ჰქონდათ გერმანელ სამხედრო გემებს გაყინულ, დაცარიელებულ სანაპიროებზე?

როდესაც დაინახეს, რომ ომში მარცხდებოდნენ, რეიხის ხელმძღვანელებმა დაიწყეს სამხედრო საიდუმლო წარმოების ევაკუაცია, რაც იძლეოდა იქ მაღალ ტექნოლოგიური სამხედრო პროდუქციის გამოშვების საშუალებას. ცხრა ასეთი საწარმოდან მხოლოდ ერთი დაბომბეს მოკავშირეების თვითმფრინავებმა, რვა დანარჩენი კი უგზოუკვლოდ დაიკარგა. როგორც ამერიკელი სამხედრო მზვერავი უინდელ სტივენსი მოწმობს, ეს საწარმოები გაიგზავნა ახალ შვაბიაში.

1945 წლის ზაფხულში არგენტინის ნავსადგურ მარ-დელ-პლატაში შევიდა ორი წყალქვეშა ნავი ეგრეთ წოდებული „ფიურერის ბადრაგიდან“. მათმა დამპატიმრებელმა ამერიკელებმა დაკითხეს მათი ეკიპაჟი, მაგრამ ვერაფერი არსებითი ვერ გაიგეს გარდა იმისა, რომ ხომალდებზე გაუთავდათ საწვავისა და პროვიზიების მარაგი. დაზვერვის მონაცემებით, ეს სუბმარინები მიდიოდნენ გერმანიის ნავსადგურ კირიდან ომის დამთავრების წინ და მათ ახალ შვაბიაში გადაჰყავდათ უცნობი ადამიანები, რომელთა სახეებიც დაფარული იყო ქირურგიული ნილბებით.

როგორც ჩვენს გაზეთს წყარომ აცნობა, რომელმაც არ ისურვა თავისი ვინაობის დასახელება, ნაცისტებმა შეძლეს ამგვარად მოემარაგებინათ თავიანთი ბაზა ისეთი მაღალი ტექნოლოგიებით, რომლებიც დღესაც პიონერულად ითვლება. მაგალითად, ავსტრიელი გამომგონებლის ვიქტორ შაუბერგერის გენერატორი საშუალებას იძლეოდა მიგველო ენერგია გრიგალისებური ნაკადებისგან განუსაზღვრელი ოდენობით. იგი გარდაიქმნა გრიგალისებურ გენერატორად, რომელიც ამჟამად წარმატებით ასრულებს ყოველდღიურ მოვალეობას. გენერატორებს არ სჭირდებათ საწვავი და შეუძლიათ, რამდენ ხანსაც გინდა, შექმნან სათბობისა და ცხელი წყლის მარაგი. ყინულის კონტინენტისთვის ასეთი დანადგარები პირველი სასიცოცხლო მნიშვნელობისა იყო. შეიძლება გრიგალისებური ტექნოლოგიები საშუალებას აძლევდნენ გერმანელებს მიეღოთ აგრეთვე მაღალი სიმძლავრის ელექტრობა, ურომლისოდაც შეუძლებელია დიდი სამხედრო ბაზის არსებობა.

რუსეთისა და ამერიკის შეერთებული შტატების მკვლევარები მრავალგზის ცდილობდნენ მოეძებნათ მრავალკილომეტრიანი ყინულის სისქის ქვეშ მტკნარი წყლის ტბა. თბილი ჰაერი, რომელიც იყო ყინულის გამოქვაბულში თანდათანობით „აღნობს“ შიგნიდან მუდმივად მზარდ ზოლს, ხოლო გაფართოებული ყინული ავსებს ტბის წყლის რესურსებს.

ექსპერტების აზრით, ყინულქვეშა მტკნარ ოაზისებს აქვს ყველა პირობა სრულფასოვანი სიცოცხლისთვის. ალბათ, სწორედ ამგვარი ოაზისების მთელმა ჯაჭვმა შექმნა მისაღები მთელი გარემო ახალ შვაბიაში. ამერიკის დაზვერვის მონაცემებით, 1942-1945 წლების განმავლობაში რეიხის გემებს ანტარქტიდის ბაზაში გადაჰყავდათ მეცნიერები, სპეციალისტები, მომსახურე პერსონალი, გადაჰქონდათ ჰიტლერიუგენდის – „ზეადამიანების გენოფონდისთვის საჭირო მასალები“, აგრეთვე საკონცენტრაციო ბანაკების ტყვეები, რომლებიც უნდა გაენადგურებინათ საიდუმლო ობიექტების აგების შემდეგ.

ახალი შვაბიის მოსახლეობის ამოცანები იყო ენერგიის ახალი სახეობის მიღება, დისკისმაგვარი საფრენი აპარატების შექმნა, გენეტიკური ექსპერიმენტები ადამიანის ახალი ჯიშის გამოსაყვანად. ამას გარდა, ქალაქი ყინულის კონტინენტზე მზადდებოდა როგორც თავშესაფარი მესამე რეიხის ხელმძღვანელობისთვის აღმოსავლეთის კამპანიის სამხედრო წარუმატებლობის შემთხვევაში.

რომ ერთ-ერთმა სუბმარინმა „ფიურერის ბადრაგიდან“ ახალ შვაბიაში გაიტანა „ბედის ისარი“, რომელიც ჰიტლერმა ვენის მუზეუმიდან გაიტაცა ავსტრიის რეიხთან შეერთების შემდეგ. ჩვენი წელთაღრიცხვის პირველ საუკუნეში რომაელმა მეომარმა ლონგინმა გაუყარა იგი ნეკნებს შორის ჯვარცმულ იესოს. **„ვინც გამოაცხადებს მას თავისად და აღმოაჩენს ამ საიდუმლოს, იკისრებს მსოფლიოს ბედს“,** – აღნიშნავდნენ „ანენერბეს“ მისტიკოსები.

მეორე ვერსია მოწმობს ადამიანების კლონირებას. თუ გერმანელებმა მიაღწიეს წარმატებებს ასეთ დამუშავებაში, მაშინ ახალი ბერლინი – რომელიც ყინულქვეშაა მოქცეული და არის ახალი შვაბიის დედაქალაქი – შეიძლება აღმოჩნდეს ქალაქად ორი მილიონი მოსახლეობით, მოწინავე მეცნიერებით, ენერგეტიკული ავტონომიით, რომელიც საშუალებას აძლევდა მათ ყინულის საფარქვეშ შეექმნათ ცხოვრების ოპტიმალური პირობები. აი, სწორედ ამ მომზადებულ ბაზაზე გადაისროლეს თითქოსდა ნაცისტური პარტიის ელიტა ომში დამარცხების შემდეგ.

უფრო მეტიც, არ არის გამორიცხული, რომ მეოთხე რეიხი არსებობდეს დღესაც. ყინულოვანი კონტინენტის სიღრმეში ყვაოდეს მაღალგანვითარებული ცივილიზაცია, რომელიც დიდი ხანია ატარებს რასობრივი უპირატესობის იდეას.

სწორედ მისი დისკმფრინავები, რომლებსაც მთელ მსოფლიოში შეუცნობელ მფრინავ ობიექტებად მიიჩნევენ, დაფრინავენ მთელი პლანეტის თავზე და იმალებიან ატლანტიკის ყინულების ქვეშ. ამ შემთხვევაში ღრუ დედამიწის თეორიას, რომელიც ოფიციალურად იყო მიღებული ნაციზმის იდეოლოგიაში, უნდა ჰქონდეს მყარი დადასტურება, რომელთა ძებნაშიც არ წყდება ზესახელმწიფოების მეტოქეობა ანტარქტიდის ყინულოვანი სიცარიელის მიღმა.

**ზესახელმწიფოთა მეტოქეობა ანტარქტიდისათვის ჯერ კიდევ წინ არის**



### ღრუ მიწის მზე

**არსებობს კიდევ უფრო ეგზოტიკური ვერსია. თითქოსდა ოკულტური ნაცისტური ინსტიტუტი „ანენერბე“ მიიჩნევა ანტარქტიდის ყინულქვეშ მოქცეულ ატლანტიდად, რომლის მაღალი განვითარების ცივილიზაცია მალავდა წარმოუდგენელ აღმოჩენებს.** რეიხის პოლარულმა მკვლევარებმა არა მხოლოდ აღმოაჩინეს წარსულის ეს დიდი სიმდიდრე, არამედ წარმატებითაც სარგებლობდნენ მით. არსებობს ვარაუდი,

**საველი კაშნიცკი**

Аргументы и факты

ინფორმაცია

### საქართველოს კანონიკური ეკლესია მთლიანი და ურყევია

**რუსეთის** საპატრიარქო საქართველოს კანონიკური ეკლესიის მთლიანობას აღიარებს. ამის შესახებ რუსეთის საპატრიარქოს წარმომადგენელმა მეუფე ილარიონმა სპეციალურ პრესკონფერენციაზე განაცხადა.

მისი თქმით, რუსეთის საპატრიარქო ცხინვალის რეგიონისა და აფხაზეთის ეკლესიებს საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ნაწილებად განიხილავს, თუმცა აუცილებელია, დაცული იყოს იმ სასულიერო პირების ინტერესები, რომლებიც სეპარატისტულ რეგიონებში მოღვაწეობენ.

მეუფე ილარიონის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით რუსეთისა და საქართველოს საპატრიარქოებს შორის მოლაპარაკება 2010 წელსაც გაგრძელდება.

რაც შეეხება საქართველოში რუსეთის პატრიარქის ვიზიტს, მეუფე ილარიონის თქმით, პატრიარქ კირილის ვიზიტი საქართველოში, შესაძლოა შედგეს, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერჯერობით უცნობია.

### აპირებენ სკოლების 20 მილიონი ლარით დაფინანსებას

**მიმდინარე** წელს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთ-ერთი პრიორიტეტი სასწავლო დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება იქნება.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მოხდება ადგილობრივი ხელისუფლების ჩართვა ინფრასტრუქტურის განვითარებასა და სკოლების რეაბილიტაციაში.

სკოლების რეაბილიტაციისთვის ცენტრალური ბიუჯეტიდან ადგილობრივ ბიუჯეტებს 20 მილიონი ლარი გადაეცემა.

მოეწყობა სასკოლო სასადილოები, ბიბლიოთეკები და ლაბორატორიები.

### იორდანიელი ბიზნესმენები აფხაზეთს იპყრობენ

**სეპარატისტულ** აფხაზეთში თანამშრომლობის დამყარების მიზნით იორდანელი ბიზნესმენების ჯგუფი ჩავიდა. დელეგაციის შემადგენლობაში ბანკების, სასტუმროების, სხვადასხვა კომპანიების, ტელე-რადიო კორპორაციების, სამშენებლო და ფარმაცევტული კომპანიების მეპატრონეები არიან. აფხაზური მხარის ინფორმაციით, მათ შორის არიან ასევე იორდანიის აფხაზური დიასპორის წარმომადგენლები.

– ბედნიერები ვართ ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობით, იმედი გვაქვს, მალე ამუშავდება აეროპორტი და საზღვრის გადაკვეთა გამარტივდება. იორდანიის საქმიანი წრეების კავკასიელ წარმომადგენლებს ასევე სურთ აფხაზეთის მონახულება იმისათვის, რათა აქ სხვადასხვა სფეროში დაამყარონ თანამშრომლობა,– განაცხადა ბიზნესმენმა ალი ბგაჟბამ.

იორდანიიდან ჩამოსული დელეგაცია სეპარატისტული აფხაზეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი შამბამ მიიღო და ამ ქვეყანასთან თანამშრომლობის დამყარების იმედი გამოთქვა. სერგეი შამბამ ასევე განაცხადა, რომ დიდი სამუშაოს ჩატარებაა საჭირო იმისათვის, რომ იორდანიის მთავრობა აფხაზეთთან თანამშრომლობაზე დასთანხმდეს ეკონომიკის, კულტურისა და სხვა სფეროებში.

იორდანული დელეგაციის წევრებმა დაარწმუნეს სერგეი შამბა, რომ იორდანიაში დაბრუნებისთანავე ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ იორდანიის საქმიანმა წრეებმა აფხაზეთთან საქმიანი ურთიერთობები დაამყარონ.

ჯი-ეიჩ-ენი

◎ ფეხბურთი

# შესაკრებთა ადგილების შეცვლით...

**პოლიტიკური ელიტისა არ იყოს, უზადრუკი საერთო სურათის შესალამაზებლად მორიგი კარუსელი საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ახალმა პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამაც დაატრიალა და თავკაცები ქვეყნის ასაკობრივ ნაკრებ გუნდებს გამოუცვალა. მათ კარგად იცნობს გულშემატკივარი, თუმცა შედეგებისა რა მოგახსენოთ – იშვიათი გამონაკლისის გარდა, სატრაბახო ბევრი არაფერი აქვთ.**

**19-წლამდელები. ვალადიმერ გუცაევი.** ტყავის ბურთის დიდოსტატი, მოგეხსენებათ, ერთ დროს ეროვნული ნაკრების მთავარი მწვრთნელი იყო, ხოლო მოგვიანებით უმაღლესი ლიგის ექს-ზინადარ „მცხეთას" ავარჯიშებდა და ამავე კლუბის პრეზიდენტადაც მუშაობდა. მცხეთა-მთიანეთის რეგიონული ფედერაციის მესაჭე 2005 და 2007 წლებში საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის საპრეზიდენტო არჩევნებშიც აპირებდა მონაწილეობას, მაგრამ გადაიფიქრა. მასთან ერთწლიანი კონტრაქტი გაფორმდება, ხოლო თანამშრომლობა მხარეთა შეთანხმების შემთხვევაში გაგრძელდება.

შეგახსენებთ, რომ 19-წლამდელი „ჯვაროსნები" წლეულს 11-16 ოქტომბერს პორტუგალიაში „ევრო-2011"-ის შესარჩევი ტურნირის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე მასპინძლებთან, ბერძნებთან და აზერბაიჯანელებთან ერთად ითამაშებენ.



**18-წლამდელები. გიორგი დევდარიანი.** ახალი გამოწვევის მიღებამდე „ცქიფო" 17-წლამდელებს 25-30 მარტს ჩეხეთში „ევრო-2010"-ის ელიტ-რაუნდში ორგანიზატორი სახელმწიფოს წარმომადგენელთა, ჰოლანდიელთა და უკრაინელთა წინააღმდეგ უხელმძღვანელებს, ხოლო ფინალურ ეტაპზე გასვლის შემთხვევაში თავის მოვალეობას ბოლომდე შეასრულებს და მხოლოდ ამის შემდეგ გადაინაცვლებს 18-წლამდელებში.

**17-წლამდელები. კობა ჟორჟიკაშვილი.** სწორედ ამ სპეციალისტის სახელს უკავშირდება ჩვენს თანამემამულეთა ერთ-ერთი უდიდესი წარმატება დამოუკიდებლობის პერიოდში – ჭაბუკთა ევროპული ფორუმის დასკვნითი რაუნდის საგზურის მოპოვება. ბოლო გუნდი, რომელსაც იგი მოძღვრავდა, ცხინვალის „სპარტაკი" გახლდათ. ჟორჟიკაშვილის დებიუტი მორიგ თანამდებობაზე 18-23 ოქტომბერს თბილისში „ევრო-2011"-ის შესარჩევი ციკლის პირველ ეტაპზე შედგება, სადაც მისი შეგირდები პოლონელებს, ინგლისელებსა და შვედებს შეხვდებიან.

**16-წლამდელები. ვასილ მაისურაძე.** მან ეროვნული ჩემპიონატი თბილისის „მორკინალის" მაისურით დააჭაშნიკა, მოგვიანებით კი „დინამოს" სელექციონერად მოგვევლინა.

**15-წლამდელები. გელა შეყილაძე.** ბათუმის „დინამოსა" და ეროვნული ნაკრების ყოფილი მცველი ბოლოს 19-წლამდელთა თავკაცი იყო, სადაც მისი მემკვიდრე ვლადიმერ გუცაევი გახდა.

**13-წლამდელები. ნოდარ აკობია.** ახლად ჩამოყალიბებულ ასაკობრივ გუნდს ერთ-ერთი ყველაზე გამოცდილი ქართველი მწვრთნელი ჩაუყენეს სათავეში. „იროდიჩი" უწინ თბილისის „დინამოში" (დავით ყიფიანის ასისტენტადძ, „შევარდენში", ბოლნისის „სიონსა" და სახელოვან 35-ე საფეხბურთოს კოლაში მოღვაწეობდა.

◎ ჭადრაკი

# ხურციძე ერთპიროვნულად დაწინაურდა

**ქუთაისსა და თბილისში გრძელდება მოჭადრაკე ქალვაჟთა ეროვნული ჩემპიონატები. რიონისპირა ქალაქში მეოთხე ტურის პარტიები გათამაშდა. ზედიზედ სამი წაგების შემდეგ გამარჯვებას მიაღწია ნანა ძაგნიძემ, რომელიც შეჯიბრებაზე რეიტინგით ყველას უსწრებს.** ჩემპიონატის პირველი ქულა მან მირანდა მიქაძესთან პაექრობაში მოიპოვა. თამარ წერეთელთან ყაიმს დასჯერდა ნინო ხურციძე, ამის მიუხედავად, ლიდერობა მაინც შეინარჩუნა, თანაც ერთპიროვნულად, რადგან ნინო ბაციაშვილმა ინგა ხურცილავასთან წააგო. ტურის დანარჩენი პარტიები ასე დამთავრდა: მაია ლომინეიშვილი – ბელა ხოტენაშვილი 0,5:0,5, ქეთი წაწალაშვილი – სალომე მელია 0,5:0,5, მერი არაბიძე – სოფიკო ხუხაშვილი 1:0, ანა გავაშელი – მაკა ფურცელაძე 0,5:0,5.



სატურნირო მდგომარეობა: ხურციძე – 3,5, ბაციაშვილი, წერეთელი, მელია – 3-3, მიქაძე, ლომინეიშვილი – 2,5-2,5, არაბიძე, ფურცელაძე – 2-2, ხოტენაშვილი – 1,5, ხუხაშვილი, წაწალაშვილი, გავაშელი, ძაგნიძე, ხურცილავა – 1-1 ქულა.

ვაჟებმა ორი ტური მოილიეს. გამოიკვეთა სამი მოჭადრაკე, რომლებმაც 1,5-1,5 ქულა მოაგროვეს. ესენი არიან ლუკა პაიჭაძე, მერაბ გაგუნაშვილი და დავით არუთინიანი. მეორე ტურში ლუკამ ლევან ფანცულაია დაამარცხა, მერაბი თამაზ გელაშვილს დაუზავდა, ხოლო დავითმა ბეგლარ ჯობავას აჯობა.

მეწინავეებს ნახევარ-ნახევარი ქულით ჩამორჩებიან თორნიკე სანიკიძე, დავით ბენიძე, ბეგლარ ჯობავა, დავით ჯოჯუა, თამაზ გელაშვილი, ზურაბ ჯავახაძე, გიორგი მარგველაშვილი, გაიოზ ნიგალიძე და კონსტანტინე შანავა. ფანცულაიას 0,5 ქულა, სულაშვილს კი ნული ქულა აქვს.

**მანანა ხატიაშვილი**

◎ აფრიკის ეროვნებათა თასი

# ფარაონთა სახელით



**მას შემდეგ, რაც ეგვიპტის ნაკრები „მუნდიალ-2010"-ს მიღმა აღმოჩნდა, ფარაონთა შთამომავლების მთავარი მწვრთნელის შეჰატას კარიერას სერიოზული საფრთხე შეექმნა. საიმისოდ, რომ მან თანამდებობა შეინარჩუნოს, აუცილებელია თანამემამულეებს ზედიზედ მესამედ მოაგებინოს აფრიკის ეროვნებათა თასი.**



ანგოლაში დაწყებული „შავი კონტინენტის" ფორუმში პირამიდების წარგზავნილნი მიდოს, შავკისა და აბუთრიქას გარეშე ჩაებნენ, თუმცა ბასრი კბილები მაინც გამოაჩინეს ერთ-ერთი მთავარი ფავორიტის ნიგერიის ეროვნული გუნდის წინააღმდეგ – 3:1. აღსანიშნავია, რომ უძლიერესი შემადგენლობით მოთამაშე „არწივები" დებიუტშივე დააწინაურა ობასიმ, მაგრამ მედემმა, ჰასანმა და გედომ ზუსტი დარტყმებით დააგვირვინეს პარტნიორთა მწვავე კონტრიერიშები.

„ბ" ჯგუფის მეორე შეხვედრაში ბენინი სოლიდური უპირატესობით დაწინაურდა მოზამბიკთან – 2:0, მაგრამ მონაგარი ვერ შეინარჩუნა და ეუსებიოს თვისტომთ ანგარიშის შენარჩუნების საშუალება მისცა – 2:0.

◎ ძიუდო

# რჩეულები – სუვონში



**კორეულ სუვონში 16-17 იანვარს მსოფლიოს უძლიერეს ძიუდოისტთა საერთაშორისო სუპერტურნირი გაიმართება, რომელშიც კვალიფიკაციით წონების მიხედვით 16-16 მოწინავე იასპარეზებს.** ქართველთაგან გურამ მოდებაძის ხელმძღვანელობით პირველობისთვის იბრძოლებენ ამირან პაპინაშვილი (60ძ, ვალერი ლიპარტელიანი (90ძ და ლომერ ჟორჟოლიანი (100ძ. ამ ტურნირზე გამარჯვებული რეიტინგს 400 ქულით გაიმდიდრებს.

◎ ჭიდაობა

# ბაქო უმასპინძლებს

**მომავალ უქმეებზე აზერბაიჯანის დედაქალაქში მუშკიგ ისაევის მემორიალი გაიმართება თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის.** საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა თამაზ ბენდიაშვილმა ბაქოში საჭიდაოდ **ბექა ბუჯიაშვილი** (42ძ, **შოთა ფარტენაძე** (46ძ, **ლევან ცალქალამანიძე** (50ძ, **ლაშა ბიტარაშვილი, რაუფ შაკულ ოღლი** (54ძ, **კახა ელბაქიძე, დავით მუზიაშვილი** (58ძ, **ირაკლი მოსიძე** (63ძ, **ლაშა გიგაშვილი, შალვა ჭადაშვილი** (69ძ, **ნოდარ აფხაზიშვილი, დავით ნანავა, იაკობ პეტრიაშვილი** (76ძ, **ლევან გოგრიჭიანი** (85ძ და **გიორგი კაკაურიძე** (100ძ წაიყვანა.

◎ ინტერნეტიდან

## ტაისონს მეტოქე შეეშალა



**ხუთი წლის შემდეგ რინგზე ისევ გამოჩნდა სახელგანთქმული ამერიკელი მოკრივე მაიკ ტაისონი. მან ქალაქ მინეაპოლისში მონაწილეობა მიიღო რესტლინგის მსოფლიო გასართობ სერიაში.**

გუნდურ ბრძოლას (ორი ორზეძ, როგორც ტურნირის მთავარ მოვლენას, ფართო რეკლამა გაუწიეს ორგანიზატორებმა და ტელევიზიითაც გადაიცემოდა. ტაისონის პარტნიორად გამოდიოდა ცნობილი მებრძოლი კრის ჯერიკო. ორივენი კი მეტოქეებად გუნდმა „დი-იქსმა" გამოიწვია.

ტაისონი რინგზე შავი ფეხბურთის მაისურითა და იმავე ფერის ტრუსებით გამოვიდა. თუმცა ბრძოლა მოულოდნელად დამთავრდა... ერთ-ერთ მომენტში ტაისონი შეტრიალდა და თავის პარტნიორ ჯერიკოს ისე მძლავრად დაარტყა, რომ ღრმა ნოკაუტში ჩააგდო ის, ამით მან გამარჯვება „დი-იქსს" მოუტანა.

## მარადონას საყურე – ვალებში

**იტალიის ხელისუფლებას აუქციონზე გამოაქვს ლეგენდარული არგენტინელი ფეხბურთელის, ამჟამად ამ ქვეყნის ნაკრების მთავარი მწვრთნელის დიეგო მარადონას ბრილიანტის საყურე, რათა ნაწილობრივ მაინც აინაზღაუროს მისი ვალები.**



როგორც იტალიური პრესა იუწყება, საგადასახადო პოლიციამ ეს ძვირფასი ნივთი ხელში ჩაიგდო შარშან სექტემბერში იტალიის ჩრდილოეთში, ქალაქ მერანოში მარადონას ყოფნის დროს.

როგორც ამბობენ, სახელგანთქმულ ფეხბურთელს იტალიის საგადასახადო უწყებისა მართებს დაახლოებით 36 მილიონი ევრო. მას ვალი არ გადაუხდია 1980 წლის შემდეგ, როდესაც ის იტალიურ „ნაპოლში" თამაშობდა.

აუქციონი დღეს, 14 იანვარს გაიმართება ბოლცინოში, ბრილიანტის საყურის საწყისი ფასი 4 ათასი ევროა. როგორც იტალიური მასმედიის საშუალებები ფიქრობენ, „ნაპოლის" ქომაგები შეაგროვებენ იმდენ ფულს, რომ გამოისყიდონ თავიანთი კერპი ფეხბურთელის ძვირფასი სამშვენისი ნივთი.

## უზარმაზარ დიუნებში



**როგორც ჩილეს ქალაქ ლასერენადან იტყობინებიან, რალი-რეიდის „დაკარის" მონაწილეებს მეცხრე ეტაპზე კოლიპოდან ლა-სერენამდე მოუწიათ 547 კილომეტრის (საიდანაც 170 კმ. სპეციალური მონაკვეთი იყოძ გადალახვა ქვიშის დიუნებში, რომელთაგან ზოგიერთის სიმაღლე 30-სართულიან სასახლესაც კი აღემატებოდა. სანავიაგაციო სისტემები კი სილით იფარებოდა, თანაც თითქმის ტრასის ნახევარზე სქელი ნისლი იყო ჩამოწოლილი.**

თუმცა ცალკეულ მონაკვეთებზე ლიდერები შეიცვალნენ, მაგრამ საერთო ჩათვალზე მას არსებითი გავლენა არ მოუხდენია.

## შარაპოვა უფრო მდიდრდება

**მართალია, ბოლო ხანებში ჩოგბურთის ლამაზმანი მარია შარაპოვა ისე ველარ გვახარებს კორტებზე თავის მიღწევებით, მაგრამ ის მაინც ითვლება ერთ-ერთ უმდიდრეს ჩოგბურთელად. თავის ქონებას ის ძირითადად მრავალ მილიონიანი სარეკლამო კონტრაქტებით ამდიდრებს. სულ ახლახანს მან რვა წლით გააგრძელა კონტრაქტი კომპანიასთან NIKE, რისთვისაც ის 70 მილიონ დოლარს მიიღებს.**

„მარია ძალზე ბედნიერია NIKE-ს დიდ ოჯახში, რადგან ამ კომპანიასთან 11 წელი თანამშრომლობს", – თქვა შარაპოვას აგენტმა მაქს ეიზენბუდმა.



ახალ შეთანხმებაში არის პუნქტი, რომელშიც მითითებულია, რომ შარაპოვამ უნდა დაამუშაოს ჩოგბურთის ტანსაცმლის ხაზი, რომლის გაყიდვით შემოსული თანხიდან მიიღებს გარკვეულ პროცენტს.

„შარაპოვა ისე ასოცირდება სპორტთან, როგორც დევიდ ბექჰემი – ფეხბურთთან. ახლა ის გახდა პირველ რიგში როგორც ცნობილი პიროვნება, ხოლო შემდეგ – როგორც სპორტსმენი", – ამბობს ლონდონის უნივერსიტეტის ეკონომიკის პროფესორი სტეფან ჟიმანსკი.

### ვინც ჩვენთან არ არის, ჩვენი მტერია?

# ვითომ სოროსის ფულის „სურნელი“ ებრალიძის ფულის სუნს სჯობს?..

ცნობილია, რომ დაარსდა დავით ალმაშენებლის სახელობის პრემია, რომლის ფინანსურ უზრუნველყოფას პეტერბურგში მცხოვრები ქართველი მილიონერი, სკანდალურად ცნობილი ალექსანდრე ებრალიძე კისრულობს.

ცნობილია აგრეთვე პრემიის პირველ სავარაუდო ნომინანტთა სიაც, რომელსაც სათავეში ქართული მწერლობის მახვში ჭაბუა ამირეჯიბი უდგას. საზოგადოება იცნობს, როგორც ამ ხალხის შემოქმედებას, ასევე უკომპრომისო პოზიციას სააკაშვილის რეჟიმის მიმართ.

ალბათ, ამიტომაც არის, რომ უკვე დაიწყო ვაი-მწერლებისა თუ ვაი-ექსპერტების მხრიდან შესაძლო ნომინანტთა მიმართ ღრენა-წკავწკავი — ვინც ებრალიძის ფულს აიღებს, ის სამშობლოს მოღალატეა!

როგორც ამბობენ, ფულს სუნი არა აქვს და რომც ჰქონდეს, ვსვამ რიტორიკულ კითხვას — რითი სჯობს სოროსის ფულის „სურნელი“ ებრალიძის ფულის სუნს? სოროსის, ვისი გამოზრდილი „სინსილა-წიწილებიც“ ამდენი ხანია გესლავენ ყველაფერს ქართულს და ეროვნულს!

ეგეც არ იყოს, ებრალიძე ქართველ მწერლობას აფინანსებს ამ პრემიით და არა სააკაშვილის მიმართ ტერორისტულ აქტებს. ამიტომ იქნებ დაფიქრდნენ მავანნი, ვინც იარლიყების მიწებება დაიწყო ამ ხალხის მიმართ. სადა ბანაობთ, ბატონებო? იმასთან ხომ არა გვაქვს საქმე, რასაც „მკვახე იყო ის ყურძენი“ ჰქვია? ანუ ის ხალხი ხომ არ წკმუტუნებს, ვისი შემოქმედება არც კი განიხილება ამ ნომინაციაში?

დასასრულ, მადლობა უნდა ვუთხრათ ბატონ ებრალიძეს ჩვენი ხელისუფლებისგან „მიგდებული“ ქართული მწერლების დახმარებისთვის, და აქვე ვაცხადებ, რომ თუ ჩვენც აღმოვჩნდებით ებრალიძის ყურადღების ღირსი, სიამოვნებით მივიღებთ ფინანსურ დახმარებას და მზად ვართ ახლავე, ნებაყოფლობით ჩავეწეროთ სამშობლოს „მოღალატეთა“ და კრემლის „აგენტთა“ ყოველდღიურად მზარდ სიაში, რადგანაც ჭაბუა ამირეჯიბთან ერთად მოღალატეობა გვირჩევნია თავისუფლების ინსტიტუტელთა გვერდით ყოფნას!

**დავით მხეიძე**

### ვეცნობით ჩვენებურს



# გონებისა და არა ალკოჰოლის კარნახით

**ექიმებმა აღიარეს, რომ მრავალდღიანი საახალწლო არდადეგები კარგი და სასარგებლოა. ასეთი აღმოჩენით გაუხარებიათ რუსეთელები მოსკოვის სერბსკის სახელობის ინსტიტუტის სპეციალისტებს. ვფიქრობთ, ამ მიგნების წინააღმდეგი არც აქ, საქართველოში უნდა ვიყოთ, მით უფრო, რომ ხსენებულ სპეციალისტებს შორის ჩვენი „გორისაც“ ურევია...**

მეცნიერებმა, როგორც იქნა, დასვეს წერტილი ძველ დავაში — რამდენად აუცილებელია ხანგრძლივი საახალწლო დღესასწაულები. იყვნენ, ხომ, სკეპტიკოსები, რომელნიც ამტკიცებდნენ — უქმეებისათვის ათი დღე ნამეტანიაო...



სერბსკის სახელობის სასამართლო და სოციალური ფსიქიატრიის ცენტრის დირექტორს ტატიანა დმიტრიევას მკაფიოდ და არაორაზროვნად განუცხადებია: „დღესასწაულები აქტიური უნდა იყოს და ადამიანებს აღარ ექნებათ ჯანმრთელობის, თავის ტკივილის პრობლემები“.

კიდევ უფრო ვრცლად გვმოძღვრავს დირექტორის მოადგილე, ჩვენი თანამემამულე ზურაბ კეკელიძე (ადრეც შეგვინიშნავს, სად გინდა, რომ ქართველი კაცი არ გამოერიოს... — **თ. ე.ძ**; „ხალხი ზედმიწევნით პასუხისმგებლური უნდა იყოს. 10-15 კაცი როცა ერთმანეთს ხვდება, რამდენიმე მათგანი აუცილებლად ფხიზელი უნდა დარჩეს: წესრიგს უნდა ადევნონ თვალყური და საშიშროების შემთხვევაში გონების კარნახით მოიქცნენ და არა ალკოჰოლისა“.

ამრიგად, გასაკეთებელი სულ ცოტა რჩება: თქვენი კომპანიიდან აარჩევთ ამ რამდენიმე „მორიგე“ პასუხისმგებელს, რომლებიც კი არ უნდა ყლურწავდნენ, არამედ წესრიგს უნდა იცავდნენ. უქმეები ათდღიანია და მორიგეობას ყველა მოასწრებს...

„ძალიან კარგია, რომ ზამთრობით ამდენი დასვენების შესაძლებლობა გვაქვს; რაც არ უნდა იყოს, ჩვენ მაინც ჩრდილოეთი ქვეყანა გვაქვს და ზამთარი საკმაოდ გრძელი გამოდის, ამიტომაც შესვენება უთუოდ სასარგებლოა ჯანმრთელობისათვის“, — განმარტავს ზურაბ კეკელიძე.

...მერე რა, რომ აქ, საქართველოში, სამხრეთელები ვართ და ზამთარიც მოკლე იცის. გრძელი დასვენება თუ შესვენება ჩვენს ჯანმრთელობასაც მოუხდება, მით უფრო, თუ ეს მოსკოვში მეცნიერულადაც დადასტურდა.

...ისე, რა კარგია, რომ „ირანის შემდეგ ჩვენს ყველაზე უბოროტეს მტერ ქვეყანაში, რუსეთში“ ქართველები არცთუ იშვიათად არიან მმართველები, დირექტორები, დირექტორების მოადგილეები...

მოამზადა
**თამაზ გორგაძემ**

### უკვდავი აფორიზმის ტყვეობაში

## ვის ამოსდის ფრთები ჩვენს პოლიტიკაში

**„ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“ — შოთა რუსთაველის ეს უკვდავი აფორიზმი, ალბათ, ყველამ კარგად ვიცით, თუ არ ვიცით, ყურმოკრული მაინც გვექნება, თუ ყურიც არ მოგვიკრავს (ჩვენდა საუბედუროდ, შეგვიძლია პრეზიდენტის რეზიდენციას „ვესტუმროთ“, აი, აქ კი უდავოდ ამოვიკითხავთ ამ უკვდავ სიტყვებს. „ვარდების ხელისუფლების“ ვარაუდით, ბოროტი, ალბათ, მთელი ოპოზიციური სპექტრია — ხოლო კეთილი — ნაციონალური მოძრაობა და პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.**

რადგან აფორიზმის ჭეშმარიტი არსი ხელისუფლებამ გაგვაცნო, ჯერ მათ „სიკეთეებზე“ ვისაუბროთ. უპრიანი იქნება, თუ „სიკეთეთა“ კასკადს სანდრო გირგვლიანის სასტიკი მკვლელობით დავიწყებთ, რომელსაც ხელისუფლება რატომღაც მხოლოდ შეცდომად მიიჩნევს და ამ „კეთილ“ ფიქრებში აზრადაც არ მოსდის, რომ დანაშაული უწოდონ, იმასაც კი ამბობენ, მკვლელები დავსაჯეთო, და...

ძალიან „მკაცრი დასჯა“ კი გამოუვიდათ, სისასტიკით ჩადენილი დანაშაული ოთხი წლით განსაზღვრეს, მთავარი დამნაშავეები კი... ღმერთმა იცის, სად არიან.: სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. სანამ ჩვენი ხელისუფლება არ ისწავლის დანაშაულისა და შეცდომის ერთმანეთისგან განსხვავებას, მათ „სიკეთეებს“ კიდევ უამრავი შეემატება. თუნდაც უკანასკნელი პერიოდი გავიხსენოთ, აი, ის, ქუთაისში დიდი მონდომებით რომ ააფეთქეს დიდების მემორიალი — საბჭოთა კავშირის გადმონაშთიაო. კარგი, თვალებს დავიბრმავებთ და შეცდომად მივიჩნევდით, მაგრამ ეს შეცდომა დანაშაულად გადაიქცა და ორი ადამიანის სიცოცხლე შეიწირა, პრეზიდენტმა კი „კეთილი“ ნება გამოიჩინა და თურმე ნუ იტყვი და, დანიაში ვიზიტი შეწყვიტა, დაღუპულთა ოჯახს კი ფულად კომპენსაციას დაპირდა. ისე, დიდი ვერაფერი შვილი „სიკეთე“ გამოუვიდა ჩვენს პრეზიდენტს. კიდევ უამრავის ჩამოთვლა შეგვიძლია: ბუტა რობაქიძე, ზურა ვაზაგაშვილი, 7 ნოემბერი და სხვა დანაშაული, რომელსაც ჯიუტად არ აღიარებენ.

ხელისუფლების „სიკეთეებისა“ არ იყოს, არც ჩვენს ოპოზიციას ამოსდის ფრთები, მათგანაც უამრავი იმედგაცრუება გვიგემია, ზოგიერთი მათგანი კი ხელისუფლების დანაშაულთა თანაზიარიცაა. ზურაბ ნოღაიდელზე და ნინო ბურჯანაძეზე მოგახსენებთ, ახლა რომ დიდი მონდომებით გვმოძღვრავენ, კრიმინალი ხელისუფლება გვყავსო. ამას, ჩემო კეთილნო, უბრალო მოკვდავნიც კარგად ვხვდებით, მაგრამ ვის აინტერესებს ჩვენი აზრი? ერთი კი უდავოა, ყველას მომხიბვლელი კომფორტული სკამი ხიბლავს, თანაც ისე ძალიან, რომ მზად არიან, ერთმანეთი მიწასთან გაასწორონ, შემდეგ, თუ საქმემ მოითხოვა, ერთხელ ნათქვამს უცებ უკან წაიღებენ და ვითომც აქ არაფერიაო, უცებ ისეთი მეგობრები ხდებიან, ეჭვი შეგეპარება თუ ოდესმე ერთმანეთის ლანძღვით ენა მოუღლიათ. სხვათა შორის, ჩვენმა წინაპრებმა ისიც თქვეს, ვაჟკაცი ერთხელ გადაფურთხებულს აღარ ალოკავსო, მაგრამ ვერც ამსიბრძნეს ამართლებენ ჩვენი პოლიტიკოსები და, ვინ მოთვლის, რამდენჯერ მოუხდათ გადაფურთხებულის ალოკვა.

აი, ახლა ვიმსჯელოთ აფორიზმის მეორე ნაწილზე — „არსება მისი გრძელია“. ძვირფას ოპოზიციას არ მინდა „კეთილი“ გული დავწყვიტო, მაგრამ „ვარდების ხელისუფლება“ უკვე მეშვიდე წელია არსებობს და მგონი, ჯერ არ აპირებს სადავეების ხელიდან გაშვებას, მინიმუმ სამი წელი, მაქსიმუმ... არ ვიცი, და თუ მათი არსებობა კიდევ დიდხანს გაგრძელდა, საზოგადოება ისევ ამ კეთილი პოლიტიკოსების „იმედად“ დარჩება. სამწუხაროა, მაგრამ... ეჰ, რამდენი „სიკეთე“ გვახსოვს ჩვენი პოლიტიკოსებისგან?!

**მერი ქურასბედიანი**

### ინფორმაცია

## ვარკეთილში 57 წლის ქალბატონს თავს დაესხნენ

**ქალს** უცნობი პირი თავს სამარშრუტო ტაქსიდან გადმოსვლისას დაესხა და მას ბასრი საგნით რამდენიმე ჭრილობა გულ-მკერდისა და ზურგის არეში მიაყენა. თავდამსხმელი შემთხვევის ადგილიდან მიიმალა ისე, რომ დაზარალებულის გაძარცვა ვერ მოახერხა.

ადგილზე მისულმა სასწრაფო სამედიცინო დახმარების თანამშრომლებმა დაჭრილს პირველადი დახმარება აღმოუჩინეს და პირველ კლინიკურ საავადმყოფოში გადაიყვანეს, სადაც დაზარალებულს მთელი ღამის განმავლობაში ოპერაცია უტარდებოდა. ექიმებმა მას თირკმელი ამოკვეთეს. ქალბატონის მდგომარეობა მძიმეა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება დაწყებულია. საქმეს ისანი-სამგორის საგამოძიებო სამსახური აწარმოებს.

## სკოლებში ფულის გამოყენება აეკრძალებათ

**განათლების** სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მოსწავლეებს სკოლებში ფულის გამოყენება აეკრძალებათ და ისინი საკრედიტო ბარათებით ისარგებლებენ.

განათლების სამინისტროს წარმომადგენელთა განცხადებით, მიმდინარე წლის ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვა და განვითარებაა და აღნიშნული ცვლილებებიც ამ მიზნით ხორციელდება.

განათლების სამინისტროს ინფორმაციით, უსაფრთხო სკოლის კონცეფციის დანერგვის მიზნით, სკოლებში ასევე შემოღებული იქნება სასკოლო მანდატურების ინსტიტუტი.

ᲮᲘ-ᲔᲘᲑ-ᲔᲜᲘ

რეკლამა
გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 99-62-77; 899 32-85-76.

### მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: გთხოვთ, მაცნობოთ, ბიულეტენის წარდგენიდან, რამდენ დღეში უნდა მომეცეს კუთვნილი თანხები და საიდან?**

**ნელი კვერნაძე**

**პასუხი:** 2007 წლის 1 იანვრიდან მოქმედი კანონით, დამსაქმებელი (დაწესებულებაძ ვალდებულია საავადმყოფო ფურცლის წარდგენიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში ან აანაზღაუროს დროებითი შრომისუუნარობის ფურცელი, ან წერილობით შეატყობინოს დასაქმებულს, რა მიზეზით ეთქვა უარი დროებითი შრომისუუნარობის გამო დახმარების გაცემაზე.

* * *

**კითხვა: 2009 წლის 20 ოქტომბერს, მეტროთი მგზავრობისას, ჩანთიდან ამომაცალეს შრომის წიგნაკი და საფულე. ფულზე არ ვდარდობ, მაგრამ შრომის წიგნაკში მთელი ჩემი 40-წლიანი შრომითი საქმიანობა იყო აღნიშნული, როგორ მოვიქცე, რომ შრომის წიგნაკი აღვადგინო ან შრომის სტაჟი სხვა გზით დავადასტურო?**

**ალექსანდრე გზირიშვილი**

**პასუხი:** შრომის წიგნაკის დაკარგვის შემთხვევაში, დაინტერესებულმა პირმა განცხადებით უნდა მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულ განყოფილებას, საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. თუ აღნიშნული ორგანო დაადასტურებს წიგნაკის დაკარგვის ფაქტს, მათ მიერ გაცემული საბუთის საფუძველზე ორგანიზაცია, რომელშიც ბოლოს მუშაობდით, გასცემს შრომის წიგნაკის დუბლიკატს, რომელსაც იგივე ძალა აქვს, რაც დედანს. თუ აღნიშნული ვერ მოხერხდება, შეგიძლიათ შრომის სტაჟი აღიდგინოთ საარქივო მონაცემების საფუძველზე გაცემული ოფიციალური ცნობებით.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 99-62-77.**

## ყველაფერი ყველაფერზე

### ვერცხლს უფრო აფასებდნენ, ვიდრე ოქროს



ძველ ეგვიპტეში ვერცხლი ძალიან იშვიათად მოიპოვებოდა, ოქრო კი ყველგან დიდი რაოდენობით იყო. ამიტომ გასაგებია, რომ ძველი ეგვიპტის მთელი ისტორიის მანძილზე ვერცხლს უფრო მეტი ფასი ჰქონდა, ვიდრე ოქროს.

სამხრეთ ამერიკის ინკები, მანამდე სანამ მათ ესპანელები არ დაიპყრობდნენ, რკინას საერთოდ არ იცნობდნენ, ოქრო კი, რომ იტყვიან, პირდაპირ თავზე საყრელი ჰქონდათ, მას მარტო სამკაულებად როდი იყენებდნენ, არამედ ჭურჭელსაც აკეთებდნენ, სავარცხლებსა და ლურსმნებს.

### მწერლების მოსყიდვა ჯობსო



ასე ფიქრობდნენ ძველი თუ ახალი სახელმწიფოების ხელმძღვანელები, მაგრამ პირველმა ასეთი პოლიტიკა მოქნილმა და შორსმჭვრეტელმა რომაელმა იმპერატორმა ოქტავიანემ, იგივე ავგუსტუსმა განახორციელა. მისი დავალებით, უმდიდრესი რომაელი არისტოკრატი გაიუს ლიცინიუს მეცენატი (ძვ.წ.74 – ახ.წ.8ძ სისტემატურად „მფარველობდა" ცნობილ პოეტებს, მწერლებს, მხატვრებს, არაფერს აკლებდა მათ, რათა „მიმხვდარიყვნენ", რომ საჭირო იყო ავგუსტუსისადმი ხოტბის შესხმა. ხელოვანთა დიდმა უმრავლესობამ დათმო კიდეც, დაიწყო დითირამბების, სახოტბო ნაწარმოებების შექმნა, თუმცა იყვნენ ისეთებიც, რომლებიც არ წამოეგნენ ანკესს, უარი თქვეს მეცენატის უხვ საჩუქრებზე. მათთვის ავგუსტუსის წყობილება ბოლომდე მიუღებელი დარჩა.

მოამზადა
**გივი გამრეკელმა**

## დაიჯესტი

# პორნოს მძიმე დროება

**სკანდალურმა ამერიკელმა პორნომაგნატმა ლარი ფლინტმა ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას „პიკანტური" ინდუსტრიის მხარდასაჭერად... ხუთი მილიარდი დოლარი სთხოვა. იგი დარწმუნებულია, რომ მისი პროდუქციის გარეშე ამერიკელები არსებობას ვერ შეძლებენ.**




ეკონომიკურმა კრიზისმა არც პორნოინდუსტრია დაინდო. „უძკნობი" ალკოჰოლისა და თამბაქოს ბიზნესებისგან განსხვავებულ პორნოს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოური დროიდან მოყოლებული ჩვენში „ხრწნადი დასავლეთის" სადარბაზო ბარათად მიიჩნეოდა, ახლა მძიმე დრო დაუდგა. ამით დაასაბუთა თავისი თხოვნა ქვეყნის ფინანსთა სამინისტროში წარდგენილ განცხადებაში ლარი ფლინტმა.

ყველაზე საგულისხმო კი ის არის, რომ პორნოგამომცემლებმა მართლაც შეიძლება მიიღონ რაღაც სახსრები, ვინაიდან, როგორც ფლინტის საგამომცემლო ინდუსტრიის ერთ-ერთი ჟურნალი Hustler-ი აღნიშნავს: „ამერიკელებს შეუძლიათ უარი თქვან ავტომანქანებსა და მსგავს რამეებზე, მაგრამ სექსზე უარის თქმა მათ ძალებს აღემატება".

## დღის კალენდარი

### 14 იანვარი

**32-ე შვიდეული სულთმოფენობიდან. ხუთშაბათი.**



ამოდის 07.26
ჩადის 16.54



ამოდის 06.51
ჩადის 16.54

**ხსენება წმიდათა შორის მამისა ჩვენისა ბასილი დიდისა, კესარია-კაბადოკიის მთავარეპისკოპოსისა (379ძ. წმიდა ემილიასი, წმიდა ბასილი დიდის დედისა, წმიდა მოწამე ბასილი ანკვირიელისა (362ძ.**

**ლიტურგია ბასილი დიდისა, გრიგოლ ნაზიანზელისა, ღირსისა თეოდოსისა, ტრიგლიელი იუმენისა (VIIძ, მოწამისა პეტრე ტრიპოლისელისა (1776ძ.**

### დაიბადნენ:

**1643 – ისააკ ნიუტონი,** ინგლისელი ფიზიკოსი, მათემატიკოსი და ასტრონომი, კლასიკური ფიზიკის ფუძემდებელი. გარდაიცვალა 1727 წელს.

**1790 – ალექსანდრ გრიბოედოვი,** რუსი მწერალი. თეირანში მოკლეს 1829 წელს.

**1832 – ლუის კეროლი,** ინგლისელი მწერალი. გარდაიცვალა 1898 წელს.

**1868 – ნოე ჟორდანია,** პუბლიცისტი და პოლიტიკური მოღვაწე, საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე (1918-1921ძ. გარდაიცვალა 1953 წელს.

**1875 – ალბერტ შვაიცერი,** შვეიცარიელი მოაზროვნე, მუსიკათმცოდნე, ფილოსოფიისა და თეოლოგიის დოქტორი, ნობელის პრემიის ლაურეატი. გარდაიცვალა 1965 წელს.

**1917 – ლადო ასათიანი,** გამოჩენილი პოეტი. გარდაიცვალა 1943 წელს.

### გარდაიცვალნენ:

**1742 – ედმუნდ ჰალეი,** ინგლისელი ასტრონომი და გეოფიზიკოსი, ლონდონის სამეფო საზოგადოების წევრი, გრინვიჩის ობსერვატორიის დირექტორი.

**1831 – ჯორჯ ბერკლი,** ინგლისელი ფილოსოფოსი.

**1867 – ჟან ოგიუსტ დომინიკ ენგრი,** ფრანგი ფერმწერი და გრაფიკოსი.

### მოვლენები:

**1850** – გიორგი ერისთავის თაოსნობით დაარსდა ქართული თეატრი.

**1903** – რომში გაიმართა პუჩინის ოპერა „ტოსკას" პრემიერა.

**1912** – ჩაიძირა ტრანსოკეანური ლაინერი „ტიტანიკი".

**ღირსსახსოვარი დღეები:**

**ქართული თეატრის დღე.**

**ახალი წელი იულიუსის კალენდრით.**

**უზბეკეთი** – სამშობლოს დამცველთა დღე.

**მელიანიუსი**

**რეკლამა** გ. ახვლედიანის ქ. №19.
„საქართველოს რესპუბლიკაში" 99-62-77; 899 32-85-76.

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6997 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4306 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7222 ლარი |
| 100 რუბლი | – 5.6309 ლარი |
| 1000 სომ. დრამა | – 4.4979 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1164 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1286 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.1574 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.4900 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +3 – +7 |
| ქუთაისი. | +13 – +15 |
| ბათუმი. | +14 – +17 |
| ზუგდიდი. | +12 – +14 |
| თელავი. | +3 – +8 |

## ანეკდოტები

მთელს მსოფლიოში შედარებისთვის არსებობს მხოლოდ ორი ქვეყანა – ეს არის იაპონია, რომელშიც არაფერი არ არის, მაგრამ ყველაფერია, და რუსეთი, რომელშიც ყველაფერია, მაგრამ არაფერი არ არის.

* * *

– აბა, გააღეთ პირი და თქვით „ა"! – ეუბნება ექიმი პაციენტს.

* * *

ისტორიული რუსული ანალოგიები:

– 1914 წელი: ნიკოლოზ II დაიწყო ომი და გამოაცხადა მშრალი კანონი.



– 1917 წელი: ფხიზელმა და გაბოროტებულმა კაცებმა დაანგრიეს რუსეთის იმპერია.

– 1985 წელი: გორბაჩოვმა გამოაცხადა გარდაქმნა და ანტიალკოჰოლური კამპანია.

– 1989-1991 წლები: ფხიზელმა და გაბოროტებულმა კაცებმა დაანგრიეს სსრკ.

– 2009 წელი: მედვედევმა გამოაცხადა მოდერნიზაცია და ლოთობასთან ბრძოლა 2012 წლამდე.

– 2012 წელი: ფხიზელმა და გაბოროტებულმა კაცებმა...

* * *

ტერორისტ-თვითმკვლელზე საშიში მხოლოდ ტერორისტი-უკვდავია.

* * *

როდესაც თანამდებობრივ კიბეზე ასვლას დაიწყებთ, მრავალი სხვადასხვანაირი ადამიანი შეგხვდებათ. ნუ გაანაწყენებთ მათ, რადგან მათთან კიდევ ერთხელ მოგიწევთ შეხვედრა, როდესაც ვარდნას დაიწყებთ.

## კადრი



საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
99-62-77;
899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოზულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 879 01-04-77

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.